თარგმანი

ერიკ ჰობსბაუმი. საფრანგეთის რევოლუცია

(ქვეთავი ერიკ ჰობსბაუმის წიგნიდან „რევოლუციების ეპოქა'')

მთარგმნელის წინასიტყვაობა:

ბრიტანელი ისტორიკოსი, ერიკ ჰობსბაუმი მეოცე საუკუნის დასავლურ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ჰობსბაუმი ცნობილია თავის ტრილოგიით მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიოს შესახებ: „რევოლუციების ეპოქა'', „კაპიტალის ეპოქა'' და „იმპერიების ეპოქა''. ასევე, მისი ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი „ერები და ნაციონალიზმი'' ქართულ ენაზე არის თარგმნილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წელს, სანდრო გაბისონიას მიერ. ერიკ ჰობსბაუმი ცნობილია ისტორიის კვლევაში მარქსისტული მეთოდის გამოყენებით და შეიძლება ითქვას, რომ ის დასავლურ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

მისი ცნობილი ტრილოგია, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენე და მეოცე საუკუნის მსოფლიოს შესახებ შექმნილი მისი უკანასკნელი წიგნი „კატასტროფების ეპოქა'' თანამედროვეობის ისტორიის კვლევაში ერთ-ერთი აღიარებული ნაშრომებია. ჰობსბაუმმა სადოქტორო დისერტაცია კემბრიჯის უნივერსიტეტში დაიცვა და აკადემიური მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი გაატარა ბირბეკის კოლეჯში (ლონდონის უნივერსიტეტი).

საფრანგეთის რევოლუციის შესახებ დაწერილი ქვეთავი მისი წიგნიდან „რევოლუციების ეპოქა'' საინტერესო იქნება მკითხველისთვის, როგორც ისტორიკოსებისათვის, ასევე სოციალური მეცნიერების სპეციალისტებისთვის და გაამდიდრებს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ არსებულ ქართულენოვან ლიტერატურას. შესაძლოა ამ ტექსტში არ იყოს წყაროების და ინფორმაციული თვალსაზრისით ფუნდამენტური სიახლეები, თუმცა ავტორის შემოთავაზებული თვალსაზრისი და საფრანგეთის რევოლუციის, როგორც ევროპის ისტორიის ერთ-

ერთი საკვანძო მოვლენის ჰობსბაუმისეული ანალიზი ნამდვილად მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართულენოვანი მკითხველისათვის.

მთარგმნელი:
გიორგი ბერიძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი (თსუ); ასისტენტ-მკვლევარი (პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

საფრანგეთის რევოლუცია

დიდ ბრიტანეთში მომხდარმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ უდიდესი გავლენა იქონია მეცხრამეტე საუკუნის მსოფლიოს ჩამოყალიბებაზე. თუმცა, ამ ეპოქის პოლიტიკა და იდეოლოგია საფრანგეთის რევოლუციის შედეგად წარმოიშვა და გავრცელდა მთელ მაშინდელ მსოფლიოში.

ბრიტანეთში იქმნებოდა მოდელი რკინიგზებისა და ქარხნების სახით, ეკონომიკური ბომბი, რამაც ააფეთქა არა მხოლოდ ევროპის, არამედ არაევროპული სამყაროს ტრადიციული სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურები. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ საფრანგეთმა მსოფლიოს შესთავაზა რევოლუცია - როგორც მოვლენა და იდეები, როგორც მისგან გამომდინარე გარდაქმნის საკვანძო მოტივატორები. ეს იმდენად დიდი მოვლენა იყო, რომ სამფეროვანი დროშები ყველა იმ ახალმა ერმა ააფრიალა, რომელიც ჩამოყალიბების პროცესში იყო. შეიძლება ითქვას, რომ პერიოდი 1789 წლიდან 1917 წლამდე დიდწილად იყო ბრძოლა 1789 წლის (ან უფრო რადიკალური 1793 წლის) პრინციპების დასაცავად ან უარსაყოფად.

აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქის საფრანგეთში შეიქმნა ლიბერალური და რადიკალური დემოკრატიული პოლიტიკის ერთგვარი სიტყვათა კონა, რომელიც მთელ მსოფლიოში გამოიყენებოდა. საფ-

რანგეთში შეიქმნა ცნებებისა და ლექსიკონის ის პირველი დიდი მაგალითი, რომლითაც გამოიხატა ნაციონალიზმი, როგორც ფენომენი. საფრანგეთმა შექმნა კანონები, სამეცნიერო და ტექნიკური ორგანიზების მოდელები, გაზომვის მეტრული სისტემა მრავალი ქვეყნისათვის. ცხადია, თანამედროვე სამყაროს იდეოლოგიამ დააზიანა მოძველებული ცივილიზაციები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ევროპული იდეას და ეს საფრანგეთის რევოლუციის შედეგად მოხდა[1].

გვიანი მეთვრამეტე საუკუნე, როგორც უკვე ვთქვით, იყო ევროპის მოძველებული რეჟიმებისა და მათი ეკონომიკური სისტემების კრიზისის ეპოქა. საუკუნის ბოლო სამი ათწლეული აღსავსე იყო პოლიტიკური აგიტაციით და იმ ენით, რომელიც საბოლოოდ რევოლუციამდე და კოლონიების ავტონომისტურ მოძრაობებამდე მიდიოდა. მათ შორის იყო არა მხოლოდ აშშ (1776-1783) არამედ ირლანდია (1782-1784), ბელგია და ლიეჟი (1787-1790), ჰოლანდია (1783-1787) და ჟენევაც კი. ზოგი მიიჩნევს რომ ინგლისში არანაკლებ მნიშვნელოვანი რყევები მიმდინარეობდა 1779 წელს. ამ ეპოქის რყევები იმდენად დრამატული და ყველაფრის მომცველი იყო, რომ ზოგი ისტორიკოსი გვთავაზობს ტერმინს „დემოკრატიული რევოლუციების ეპოქა“ რომელთა შორისაც საფრანგეთის რევოლუცია ერთ-ერთი, თუმცა ყველაზე დრამატული და მრავლისმთქმელი იყო.

[1] აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთისა და საფრანგეთის რევოლუციებს შორის განსხვავებები არც თუ ისე დიდია. ამ ორმა რევოლუციამ ერთად, რასაც შეგვიძლია „ორმაგი რევოლუცია" ვუწოდოთ, გავლენა მოახდინა ადამიანის აქტივობის ბევრ სხვადასხვა დონეზე და რომ ეს ორი რევოლუცია უფრო ავსებდა ერთმანეთს, ვიდრე წინააღმდეგობაში მოდიოდა ერთმანეთთან. თუმცა, როცა ეს ორი რევოლუცია ყველაზე მკაფიოდ გადაიკვეთა ერთმანეთთან, სოციალიზმში (სოციალიზმი ორივე ქვეყანაში დაახლოებით ერთ დროს გაჩნდა) ბრიტანული და ფრანგული სოციალიზმები სხვადასხვა გზით წავიდნენ.

მთლიანობაში, ძველი რეჟიმის კრიზისი არ იყო მხოლოდ ფრანგული ფენომენი, ამ მტკიცებაში გარკვეული წონაც დევს. შეგვიძლია იმის თქმა, რომ 1917 წლის რუსეთის რევოლუცია (რომელიც ანალოგიური მნიშვნელობისაა მეოცე საუკუნის ისტორიაში რაც საფრანგეთის რევოლუცია იყო მეცხრამეტე საუკუნისთვის) იყო ყველაზე დრამატული ამ ტიპის რევოლუციების ჯგუფში, იგულისხმება ის რევოლუციები, რამაც დაამთავრა მრავალსაუკუნოვანი იმპერიები. თუმცა, საფრანგეთის რევოლუცია მათ შორის ყველაზე ფუნდამენტური იყო და მისი შედეგებიც გაცილებით უფრო შორს მიდიოდა ვიდრე რომელიმე ზემოთხსენებული რევოლუცია. პირველ რიგში, საფრანგეთის რევოლუცია იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იმ პერიოდის საფრანგეთი ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამორჩეული ევროპული სახელმწიფო იყო (თუ არ ჩავთვლით რუსეთს).

1789 წელს, ყოველ ხუთ ევროპელში ერთი ფრანგი იყო. მეორე, ეს იყო პირველი მასობრივი, სოციალური ხასიათის რევოლუცია და განუზომლად უფრო რადიკალური, ვიდრე რომელიმე სხვა მსგავსი აჯანყება. არ არის შემთხვევითი ის, რომ ამერიკელმა რევოლუციონერებმა და ბრიტანელმა „იაკობინელებმა“, ვინც საფრანგეთში გადასახლდნენ თავიანთი პოლიტიკური სიმპათიების გამო, აღმოაჩინეს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ სპექტრში ისინი არა რადიკალებად, არამედ ზომიერებად აღიქმებოდნენ. თომას პეინი ექსტრემისტად ითვლებოდა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, თუმცა პარიზში ის ყველაზე უფრო ზომიერ ჟირონდისტებში იყო წარმოდგენილი. ამერიკის რევოლუციების შედეგი იყო ის, რომ ამერიკის ქვეყნები გათავისუფლდნენ ბრიტანეთის, ესპანეთის და პორტუგალიის კონტროლისგან, თუმცა შეინარჩუნეს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ფორმა. საფრანგეთის რევოლუციის შედეგი კი იყო ის, რომ „ბალზაკის ეპოქა“ ჩაანაცვლა „მადამ დუბარის ეპოქამ“.

მესამე, ყველა იმდროინდელი რევოლუციისგან განსხვავებით, საფრანგეთის რევოლუცია ეკუმენისტური მოვლენა იყო. საფრანგეთის არმიამ ვერ შეძლო მსოფლიოში რევოლუციის მოხდენა, მაგრამ საფრანგეთის რევოლუციის იდეებმა ეს შეძლეს. ამერიკის რევოლუცია დარჩა საკვანძო მოვლენად აშშ-ს ისტორიისთვის, თუმცა არ დაუტოვებია საკვანძო კვალი მსოფლიოს რომელიმე სხვა წერტილში. საფრანგეთის რევოლუციამ კი თავის ნიშანი დატოვა ყველა ქვეყანაში. მისმა შედეგებმა, ამერიკის რევოლუციისგან განსხვავებით, შექმნა ერთგვარი წრე, რისი შედეგიც იყო ლათინური ამერიკის გამათავისუფლებელი მოძრაობების დაწყება 1808 წელს.

საფრანგეთის რევოლუციას პირდაპირი ზეგავლენა ჰქონდა ისეთ შორეულ ქვეყნებზე, როგორიცაა ბენგალი, სადაც რამ მოჰან როიმ, საფრანგეთის რევოლუციით შთაგონებულმა ჩამოაყალიბა პირველი ინდური რეფორმისტული მოძრაობა, რაც თანამედროვე ინდური ნაციონალიზმის ერთგვარი წინაპარია (როდესაც როიმ იმოგზაურა ინგლისში 1830 წელს, მან მოითხოვა ფრანგული გემით მგზავრობა რომ ხაზი გაესვა მისი ენთუზიაზმისთვის და ერთგულებისთვის საფრანგეთის რევოლუციის მიმართ). საფრანგეთის რევოლუცია იყო, როგორც ერთხელ ძალიან კარგად თქვეს „პირველი იდეა დასავლური ქრისტიანული სივრციდან, რომელმაც უზარმაზარი გავლენა იქონია „ისლამურ საყაროზე“ თან თითქმის დაუყონებლივ.

მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდისთვის, თურქული სიტყვა „ვატანი'' რომელიც აღნიშნავს ადამიანის დაბადების ან ცხოვრების ადგილს, ნელ-ნელა იცვლებოდა საფრანგეთის რევოლუციის გავლენის შედეგად და ყალიბდებოდა როგორც „სამშობლო“ (patrie), ტერმინი „თავისუფლება“ 1800 წლამდე იყო სამართლებრივი ტერმინი, რომელიც „მონობის“ ანტონიმად მოიაზრებოდა. თუმცა 1800 წლიდან მან თანდათან დაიწყო პოლიტიკური შინაარსის შეძენა. საფრანგეთის რევოლუციის არაპირდაპირი ზეგავლენა უნივერსა-

ლურია, გამომდინარე იქიდან, რომ მან მოამზადა საფუძველი ყველა შემდგომი რევოლუციური მოძრაობისათვის (რომლებსაც გემოვნების მიხედვით, სხვადასხვა ინტერპრეტაციებიც ჰქონდათ). ასევე, საფრანგეთის რევოლუცია იყო თანამედროვე სოციალიზმის და კომუნიზმის პირდაპირი წინაპარი[2].

საფრანგეთის რევოლუცია რჩება თავის ეპოქის რევოლუციურ მოვლენად, თუმცა ის ერთადერთი არ იყო. მოხდა სხვა რევოლუციებიც, მათ შორის კი მოწინავე საფრანგეთის რევოლუცია იყო თავის მნიშვნელობით. საფრანგეთის რევოლუციის საფუძვლები უნდა ვეძებოთ არა უშუალოდ ევროპაში არსებულ ზოგად მდგომარეობაში, არამედ საფრანგეთში არსებულ სპეციფიურ სიტუაციაში. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის რევოლუციის გამორჩეულობა ყველაზე უკეთ მაინც საერთაშორისო ტერმინებით ფასდება. საფრანგეთი იმ პერიოდში ბრიტანეთის მთავარი ეკონომიკური მეტოქე იყო. აღსანიშნავია, რომ 1720 წლიდან 1780 წლამდე საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა ოთხჯერ გაიზარდა, მისი კოლონიები (დასავლეთ ინდოეთში) ბრიტანეთის კოლონიებზე უფრო დინამიურად ვითარდებოდა. თუმცა საფრანგეთი მაინც არ იყო ბრიტანეთის მსგავსი ძალა, რომლის საგარეო პოლიტიკაც უკვე სუბსტანციურად ემორჩილებოდა კაპიტალისტური ექსპანსიის ინტერესებს. საფრანგეთი იყო ყველაზე ძლიერი და ასევე ყველაზე ტიპიური, ძველი არისტოკრატიული მონარქია ევროპაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უძველეს რეჟიმსა და ახლად წარმოქმნილ სოციალურ ძალებს შორის გარდაუვალი კონფლიქტი ყველაზე თვალსაჩინო საფრანგეთში იყო.

---

[2] მე არ ვცდილობ ამერიკის რევოლუციის როლის დაკნინებას. უდავოა რომ მან მუხტი მისცა ფრანგულ რევოლუციას, და მოკლე გაგებით, ჩამოაყალიბა კონსტიტუციური მოდელები საფრანგეთთან კონკურენციაში რიგი ლათინოამერიკული ქვეყნებისათვის. აშშ-ს რევოლუცია იმ პერიოდში ხშირად იყო შთაგონება დემოკრატიული რევოლუციებისათვის.

ახალმა ძალებმა გამორჩეულად კარგად იცოდნენ, თუ რა სურდათ. ფიზიოკრატი ეკონომისტების წარმომადგენელი, ტიურგო, მხარს უჭერდა მიწის რესურსების ეფექტურ ათვისებას. თავისუფალ ვაჭრობას და წარმოებას, რომ მიღწეულიყო სტანდარტიზებული, ეფექტური ადმინისტრირების ფორმა ერთიანი, ჰომოგენური ეროვნული სახელმწიფოს შიგნით. ტიურგო ასევე ფიქრობდა, რომ საჭირო იყო რიგი აკრძალვების და სოციალური უთანასწორობების დაძლევა, რაც ხელს უშლიდა საფრანგეთს არსებული რესურსების ათვისებაში და ამის უმთავრესი მიზეზი მოძველებული და უთანასწორო საგადასახადო სისტემა იყო.

ტიურგომ სცადა მისი პროგრამის დანერგვა ლუი მეთექვსმეტის პირველი მინისტრის რანგში (1774-1776 წლებში) თუმცა ეს არ გამოუვიდა, ეს წარუმატებლობა არც იყო გასაკვირი. ამ ტიპის რეფორმები, რაზეც ტიურგო აპელირებდა, შეუძლებელი იყო განხორციელებულიყო არისტოკრატიული მონარქიის მმართველობის ფარგლებში. უფრო მეტიც, რაც უფრო გაშალეს ხელი არისტოკრატიულმა/აბსოლუტისტურმა მონარქიებმა, რასაც ხშირად უწოდებდნენ „განათლებულ დესპოტიზმებს'' უფრო და უფრო უკან დაიწია ტიურგოს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატების შანსებმა. ტიურგოს რეფორმებს მხოლოდ თეორიული დისკუსიები მოჰყვა, იმ შემთხვევაშიც კი თუ მისი ინსტიტუციონალიზება დაინიცირდა, ადგილობრივი არისტოკრატები ამას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. ეს არამხოლოდ საფრანგეთში, არამედ მის ახლო-მახლო, ევროპის სხვა ქვეყნებშიც ასე მოხდა.

წარუმატებლობა საფრანგეთში უფრო სწრაფად დადგა, ვიდრე სხვაგან, რადგანაც რეფორმების მიმართ წინააღმდეგობა ფრანგი დიდგვაროვნების მხრიდან უფრო ინტენსიური იყო. ასევე, ამ რეფორმების წარუმატებლობის გამო დამდგარი შედეგი გამორჩეულად მძიმე იყო ფრანგული მონარქიისათვის, ისევე როგორც ბრაზი და მობილიზება წარმოუდგენლად მასშტაბური იყო საფრანგეთის

ბურჟუაზიაში, რომელმაც უმაღლესი ავტორიტეტის აღქმა/ფუნქცია მალევე გადმოიტანა „განათლებული მონარქიიდან“ ხალხზე, ან „ერზე“.

თუმცა, ამგვარი განზოგადებები არ გვეხმარება იმაში, რომ ავ-ხსნათ, თუ რატომ იფეთქა რევოლუციამ და რატომ წავიდა ის ამგვა-რი გზით. არ უნდა დავივიწყოთ „ფეოდალური რეაქცია'', რომელ-მაც მართლაც ბევრად უფრო ფეთქებადსაშიში გახადა ის დენთით სავსე კასრი, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ პროტესტით და ამბოხე-ბით სავსე საფრანგეთი.

ოცდასამი მილიონი ადამიანიდან, საფრანგეთის მოსახლეობ-ის მხოლოდ მცირე ნაწილი - 400 000 ადამიანი წარმოადგენდა დიდგვაროვნების ფენას, ანუ ერის „მოწინავე“ და „ხელშეუხებელ“ ნაწილს, თუმცა არც ისე იზოლირებულს, როგორც ეს იყო პრუსია-ში. ფრანგი დიდგვაროვნები მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარ-გებლობდნენ, მათ შორის თავისუფლები იყვნენ რიგი გადასახადე-ბისგან (მათზე უფრო უკეთეს სიტუაციაში მეტად ორგანიზებული სასულიერო პირები იყვნენ), ფრანგ დიდგვაროვნებს ასევე ჰქონდათ უფლება ფეოდალურ მოსაკრებელზე. პოლიტიკურად, სიტუაცია ნაკლებად კაშკაშა იყო, აბსოლუტურმა მონარქიამ, რომელიც თავი-დან ბოლომდე არისტოკრატიული და ფეოდალურიც კი იყო თავის ეთოსში, მოახერხა დიდგვაროვნებისათვის პოლიტიკური დამოუკ-იდებლობის და პასუხისმგებლობის წართმევა. გააუქმა რა უძველე-სი წარმომადგენლობითი ინსტიტუტები: გენერალური შტატები და პარლამენტი იმდენად, რამდენადაც ეს შეეძლო. არისტოკრატიის ყველაზე მაღალი საფეხურის წარმომადგენლებს მეფეები სხვადას-ხვა დანიშნულებით იყენებდნენ: პირველ რიგში კი ფინანსების და მართვის სფეროში; დიდგვაროვნული წოდებით დაჯილდოვებუ-ლი სახელისუფლებო საშუალო კლასი ორმაგად უკმაყოფილო იყო - ერთის მხრივ სახელისუფლებო არისტოკრატიისა და მეორეს მხრივ ბურჟუაზიის მიმართ. თუმცა ამ უკმაყოფილების გამოხატვისათვის

საშუალო კლასს მხოლოდ შეზღუდული სასამართლოებისა და პარლამენტის და შტატების გამოყენება შეეძლო.

ეკონომიკურად დიდგვაროვნების წუხილები ყველა გაგებით უმნიშვნელო იყო. დაბადებიდან და ტრადიციულად უფრო მეომარი, ვიდრე გამომუშავებაზე ორიენტირებული დიდგვაროვნები ფორმალურადაც კი მოკლებულნი იყვნენ ვაჭრობის ან რაიმე პროფესიის შესწავლის შესაძლებლობას. ისინი დამოკიდებულები იყვნენ თავიანთი მამულების შემოსავალზე, ან, თუ ისინი განეკუთვნებოდნენ რჩეულ უმცირესობას მოწინავე ან სამეფო კარის დიდგვაროვნების სახით, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა გაემართათ მდიდრული ქორწილები, მიეღოთ სახაზინო პენსიები ან სხვადასხვა სახის საჩუქრები.

მაინც, დიდგვაროვანთა სტატუსისათვის საჭირო ხარჯები მოცულობითი და მზარდი იყო. მათი შემოსავალი, გამომდინარე იქედან, რომ ისინი არ იყვნენ თავიანთი სიმდიდრის ვაჭრობით მართვის მცოდნეები, ეცემოდა. ინფლაცია თავის მხრივ ამცირებდა იმ შემოსავალს, რასაც დიდგვაროვნები უძრავი ქონების გაქირავების შედეგად იღებდნენ. შესაბამისად, ბუნებრივი იყო რომ დიდგვაროვნებს არსებობის მხოლოდ ერთი გზა რჩებოდათ, მათი მთავარი საკუთრების - წესრიგის მიერ მონიჭებული პრივილეგიების სახით.

მთელი მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე, საფრანგეთში, ისევე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში ისინი ხელში იგდებდნენ ოფიციალურ თანამდებობებს, რაზეც მანამდე აბსოლუტური მონარქიები ამჯობინებდნენ ტექნიკურად უფრო კომპეტენტური და პოლიტიკურად უსაფრთხო საშუალო კლასის წარმომადგენლების დანიშვნას. თუმცა 1780-იანი წლებისთვის დიდგვაროვნის წოდება საჭირო იყო იმისთვისაც კი, რომ ადამიანი გამხდარიყო სამხედრო თანამდებობის პირი. ყველა ეპისკოპოსი და დიდგვაროვანი იყო სამეფო ხელისუფლების საყრდენი, სახელმწიფო აპარატი დიდწილად დიდგვაროვნებს ჰქონდათ ხელში ჩაგდებული.

შედეგად, არისტოკრატია არამარტო აღიზიანებდა საშუალო კლასს ოფიციალური თანამდებობებისთვის შეჯიბრში წარმატებით, არამედ ძირს უთხრიდა სახელმწიფოს პროვინციული და ცენტრალური ადმინისტრაციის ბოლომდე ხელში ჩაგდებით. ანალოგიურად ისინი - და განსაკუთრებით შედარებით ღარიბი პროვინციელი დიდებულები, ვისაც სხვა მცირე რესურსებიც გააჩნდათ, ცდილობდნენ რომ შეეჩერებინათ გაღარიბების პროცესი ფეოდალურ უფლებებზე აპელირებით და გლეხებისგან გადასახადების შეგროვების, ან მათგან აუნაზღაურებელი შრომის მიღების უფლების სრული გამოყენებით.

გაჩნდა სრულიად ახალი პროფესია - ფეოდისტების (ფეოდალური დავების აღმწერელი, წარმმართველი) სახით. ამ პროფესიის ხალხს ევალებოდა რომ გაეძლიერებინათ ფეოდალების მიერ გლეხებისგან გადასახადების აკრეფის ისტორიული არგუმენტები. ფეოდისტებიდან ყველაზე ცნობილი ადამიანი იყო გრახკუს ბაბეფი, რომელიც ისტორიაში მომხდარი პირველი კომუნისტური აჯანყების ლიდერად იქცა 1796 წელს. გამოდის რომ დიდგვაროვნები უკიდურეს დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ არა მხოლოდ საშუალო კლასთან, არამედ გლეხებთანაც. გლეხების - ამ უზარმაზარი კლასის პოზიცია, რომელიც ფრანგების დაახლოებით 80 პროცენტს მოიცავდა, შორს იყო ბრწყინვალებისგან. გლეხები ზოგადად თავისუფალი ხალხი იყო და ხშირად მიწასაც ფლობდნენ. რეალურად, დიდგვაროვნების მამულები საფრანგეთის მიწების მხოლოდ ერთ მეხუთედს მოიცავდა. საეკლესიო მიწები კი ქვეყნის მიწების მხოლოდ ექვს პროცენტს. მონპელიეს საეპისკოპოსოში გლეხები სულაც მიწების 38-40 პროცენტს ფლობდნენ, ბურჟუაზია 18-19 პროცენტს, არისტოკრატია 15-16 პროცენტს და ეკლესია 3-4 პროცენტს, მაშინ როდესაც მიწის ერთი მეხუთედი სახელმწიფოს საკუთრება იყო.

თუმცა, ფაქტობრივად გლეხების დიდი უმრავლესობა არ ფლობდა არც მიწას და არც ქონებას. გაჭირვებას კიდევ უფრო

ზრდიდა ტექნიკური ჩამორჩენილობა; მიწის ნაკლებობა კიდევ უფრო პრობლემური ხდებოდა მოსახლეობის ზრდის პარალელურად. ფეოდალებისთვის მისაცემი გადასახადების წილი უფრო და უფრო იზრდებოდა გლეხების შემოსავალში, ინფლაცია კი შემოსავალს თავისთავად აუფასურებდა. გლეხების მხოლოდ უმცირეს ნაწილს ჰქონდა მუდმივი შემოსავალი მზარდი ფასების ფონზე ვაჭრობის შედეგად. დანარჩენი უმრავლესობა კი ინფლაციისგან იტანჯებოდა, განსაკუთრებით ცუდი მოსავლის დროს, როდესაც ფასებს არსებული შიმშილი განსაზღვრავდა. ეჭვგარეშეა, რომ რევოლუციამდელ ოც წელიწადში გლეხთა მდგომარეობა ზემოთჩამოთვლილი მიზეზებით საგრძნობლად გაუარესებული იყო.

მონარქიის წინაშე არსებულმა ფინანსურმა სირთულეებმა მიმდინარე პრობლემები წინ წამოწიეს. სამეფოს ადმინისტრაციული და ფისკალური სტრუქტურა უძლური იყო. ამის გამოსწორების მცდელობა 1774-1776 წლებში განხორციელებული რეფორმებით, ჩაფლავდა, რისი მთავარი მიზეზიც პარლამენტის მიერ საკუთარი ინტერესების წარმატებული დაცვა იყო. მალევე საფრანგეთი ჩაერთო ამერიკის გამათავისუფლებელ ბრძოლაში. ინგლისზე გამარჯვება საფრანგეთს ფინანსურ გაკოტრებად დაუჯდა. შესაბამისად, სამართლიანია მტკიცება რომ ამერიკის რევოლუცია საფრანგეთის რევოლუციის პირდაპირი მიზეზი იყო.

რამდენიმე რეფორმა მცირე წარმატებით განხორციელდა, თუმცა ფუნდამენტური სახე ამას არ ჰქონია. სახელმწიფომ ვერ შეძლო ქვეყანაში არსებული დაბეგვრითი რესურსის მობილიზება. შესაბამისად, სიტუაცია სადაც სახელმწიფოს ხარჯები შემოსავლებს 20 პროცენტით აღემატებოდა და დაზოგვის არავითარი საშუალება არ ჩანდა, კიდევ უფრო გაუარესებისკენ წავიდა. გადაჭარბებულია გავრცელებული მოსაზრება, რომ ვერსალის (სამეფო სასახლის) ექსტრავაგანტულობა კრიზისის მთავარი მიზეზი იყო. სამეფო კარის ხარჯი სახელმწიფოს ხარჯის მხოლოდ 6 პროცენტს შეადგენდა 1788

წლისათვის. ომი, ფლოტი და დიპლომატია ხარჯის მეოთხედს მოიცავდა, არსებული ვალის გადახდა კი ხარჯის ნახევარს იკავებდა. ომმა და ვალმა - ამერიკის დამოუკიდებლობის ომმა და ამის შედეგად გაზრდილმა ვალმა საფრანგეთის მონარქია წელში გადატეხა.

მეფის ხელისუფლების კრიზისმა ფრანგულ არისტოკრატიას და პარლამენტს შანსი მისცა. მათ უარი თქვეს გადასახადების გადახდაზე და მოითხოვეს მათთვის არსებული პრივილეგიების გაფართოება. აბსოლუტიზმის პირველ ბზარი გამოჩნდა ,,დიდგვაროვანთა ასამბლეის" 1787 წლის შეკრების დროს, რომელიც ხელისუფლების მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის შეიკრიბა, თუმცა ხელისუფლებამ სასურველი ვერ მიიღო. მეორე და გადამწყვეტი ბზარი კი გამოჩნდა როდესაც მეფემ მიიღო სასოწარკვეთილი გადაწყვეტილება რომ მოეწვია გენერალური შტატები - ძველი ფეოდალური ყრილობა მთელი საფრანგეთის მასშტაბით. აღსანიშნავია რომ გენერალური შტატები 1614 წლის შემდეგ გაუქმებული იყო.

ანუ, რევოლუცია დაიწყო როგორც არისტოკრატთა მცდელობა, რომ აღედგინათ კონტროლი სახელმწიფოზე. ეს მცდელობა ცუდად იყო დაგეგმილი ორი მიზეზით: ის სათანადოდ ვერ აფასებდა „მესამე წოდების" დამოუკიდებელ მისწრაფებებს (მესამე წოდება იყო ზოგადი გაერთიანება, რომელიც თავის თავში მოიცავდა იმ ხალხს, ვინც არ სასულიერო წოდებას არ განეკუთვნებოდა დ არც დიდგვაროვნებს, არამედ აერთიანებდა საშუალო კლასს) და ასევე, არისტოკრატები კარგად ვერ ხედავდნენ იმ ფუნდამენტურ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს, რის ფონზეც ისინი საკუთარ პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებდნენ.

საფრანგეთის რევოლუცია არ მოუხდენია რაიმე პარტიას ან მოძრაობას თანამედროვე გაგებით, არც ადამიანებს, ვისაც რაიმე სისტემური პროგრამული ალტერნატივა გააჩნდათ მონარქიის საპირწონედ. მეტიც, მეამბოხეებში ნაკლებად ჩანდნენ ისეთი ლიდერები, ვინც მეოცე საუკუნის რევოლუციებში უხვად შეგვხვედრია,

თუ არ ჩავთვლით ნაპოლეონის პოსტ-რევოლუციურ ფიგურას. თუმცა, თანაბარი სიძლიერის სოციალური ჯგუფების შთამბეჭდავმა კონსესუსმა ზოგადი იდეების გარშემო დიდწილად ჩაუყარა საფუძველი რევოლუციური მოძრაობის ეფექტურობას. ეს ჯგუფი იყო „ბურჟუაზია", მათი იდეები იყო კლასიკური ლიბერალიზმის იდეები, რომლებიც ფორმულირებული იყო „ფილოსოფოსებისა" და „ეკონომისტების" მიერ და გავრცელებული არაფორმალური ასოციაციების საშუალებით. ამ გაგებით, რევოლუციაზე პირდაპირი გავლენა ფილოსოფოსებს ჰქონდათ. ის შეიძლებოდა მომხდარიყო მათ გარეშეც, თუმცა ცხადია რომ ძველი რეჟიმის განადგურებაში და ახლის შექმნაში ფილოსოფოსების როლი გარდამტეხი იყო.

1789 წლის იდეოლოგია თავის ყველაზე ზოგადი ფორმით იყო მასონური, გამოხატული უმანკო სუბლიმაციით მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტაში" (1791). ეს სიმფონია იყო იმ ეპოქის ერთ ერთი პირველი პროპაგანდისტული ნამუშევარი, სადაც უმაღლესი სახელოვნებო მიღწევები ხშირად პროპაგანდისტულ მიზნებს უკავშირდებოდა. უფრო კონკრეტულად, ბურჟუაზიის მიერ 1789 წელს გამოხატული მოთხოვნები განთავსებულია ცნობილ „დეკლარაციაში ადამიანის და მოქალაქის უფლებების შესახებ". დოკუმენტი არის მანიფესტი დიდგვაროვანი პრივილეგირებულების იერარქიული საზოგადოები წინააღმდეგ, მაგრამ თავისი შინაარსით ის არც დემოკრატიულ და თანასწორ საზოგადოებაზე არ აკეთებდა აქცენტს. „ადამიანები გაჩენილები არიან და ცხოვრობენ თავისუფლები და თანასწორები კანონის წინაშე", - ამბობს დეკლარაციის პირველი მუხლი. თუმცა, ის ასევე ქმნის სივრცეს სოციალური განსხვავებებისთვის. კერძო საკუთრება ბუნებრივ უფლებად არის განცალკევებული, როგორც წმინდა, ხელშეუხებელი და შეულახავი. ადამიანები თანასწორები იყვნენ იმდენად, რამდენადაც სამართალი და კარიერა თანაბრად იყო გახსნილი ნიჭისთვის; თუმცა თუ რბოლა ჰანდიკაპის გარეშე დაიწყებოდა, ანალოგიურად წინასწარვე იყო გათ-

ვლილი ის, რომ მრბოლელებს ერთდროულად არ უნდა დაესრულებინათ რბოლა.

დეკლარაციაში აღნიშნული იყო (როგორც წინააღმდეგობა დიდგვაროვანთა იერარქიისა და აბსოლუტიზმის მიმართ) რომ „ყველა მოქალაქეს აქვს უფლება ითანამშრომლოს კანონის შემუშავების პროცესში"; თუმცა „პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით". წარმომადგენლობითი კრება კი, რომელსაც დეკლარაცია ძირითად სახელისუფლებო ორგანოდ მიიჩნევდა, არ იყო არც დემოკრატიულად არჩეული და არც მეფის ხელისუფლების გაუქმებას ქადაგებდა. მდიდარ ოლიგარქიაზე დაფუძნებული კონსტიტუციური მონარქია - რომელიც საკუთარ თავს წარმომადგენლობით ასამბლეაში გამოხატავს: ეს უფრო მისაღები იყო ბურჟუა ლიბერალების უდიდესი ნაწილისთვის, ვიდრე დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მათი თეორიული მისწრაფებების უფრო ლოგიკური გამოხატვა იქნებოდა. ზოგი ბურჟუა დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებსაც ადვოკატირებდა, თუმცა საკუთარ არსებობას კონსტიტუციური მონარქიის პირობებშიც არ გამორიცხავდა. მთლიანობაში, 1789 წლის კლასიკური ლიბერალური ბურჟუაზია (და ზოგადად, 1789-1848 წლის ლიბერალები) დემოკრატებზე მეტად უფრო კონსტიტუციონალიზმის მიმდევრები იყვნენ, სეკულარული სახელმწიფოსი - სადაც იქნებოდა სამოქალაქო თავისუფლებები და კერძო სიმდიდრის შექმნის გარანტიები, პლუს - გადასახადების გადამხდელების და მესაკუთრეების მიერ მართული ხელისუფლება.

ყველაფრის მიუხედავად, ამგვარი რეჟიმი არ გამოხატავდა ვიწრო კლასობრივ ინტერესს, არამედ ზოგადად ''ხალხის'' ნებას, რომელიც თავის მხრივ (დიდწილად) ითარგმნებოდა როგორც ფრანგი ერი/ნაცია. მეფე აღარ იწოდებოდა „ლუი, ღმერთის მიერ კურთხეული მეფე საფრანგეთისა და ნავარისა" არამედ „ლუი, ღმერთის და სახელმწიფოს კონსტიტუციური კანონმდებლობის მიერ კურთხეული ფრანგთა მეფე". დეკლარაცია მკაფიოდ მიუთითებ-

და, რომ სუვერენიტეტის წყარო ეყრდნობა ერს. და ერი, როგორც ებ საისი მიუთითებს, არ აღიარებს არცერთ ინტერესს გარდა საკუთარი ინტერესისა, და არ იღებს არავითარ კანონს ან ავტორიტეტს საკუთარის გარდა, არც ზოგადსაკაცობრიოს და არც სხვა ერებისას. ეჭვგარეშეა, ფრანგი ერი და მისი სხვა იმიტატორები არ ფიქრობდნენ, რომ მათი ინტერესები აუცილებლად გადაიკვეთებოდა სხვა ერის ინტერესებთან, არამედ ფიქრობდნენ, რომ ისინი „პიონერები“, სიახლის შემომტანები იყვნენ, რომ მათ მსგავსად სხვა ერებიც გაითავისუფლებდნენ საკუთარ თავს ტირანიისაგან. თუმცა, ფაქტია რომ ერთაშორისი კონკურენცია (მაგალითად ფრანგ ბიზნესმენებს და ბრიტანელ ბიზნესმენებს შორის) და ერებს შორის დაქვემდებარება (მაგალითად, დაპყრობილი ან გათავისუფლებული ერისა უფრო დიდი ერის მიმართ) ნაციონალიზმის თავისთავად შემადგენელი ნაწილი იყო.

„ხალხი'' რომელიც იგივდებოდა „ერთან“ რევოლუციური ცნება იყო; უფრო რევოლუციურიც კი ვიდრე ბურჟუაზიულ-ლიბერალური პროგრამა, რომელიც ცდილობდა ამ ხალხის გამოხატვას. ამავდროულად, ეს ცნება ორი უკიდურესობის მატარებელიც იყო. გამომდინარე იქიდან, რომ გლეხები და მუშები გაუნათლებლები, პოლიტიკურად თავმდაბალი და მოუმწიფებლები იყვნენ, მესამე წოდებაში ძირითადად ამ ორი სოციალური ჯგუფიდან არაპირდაპირი წესით 610 ადამიანი შეირჩა. თუმცა, მესამე წოდების ბანაკში ბევრი ადვოკატი იყო, ვისაც დიდი ეკონომიკური როლი ჰქონდა პროვინციულ საფრანგეთში; ამ ხალხს - ასამდე ადამიანს გააჩნდა მცირე კაპიტალი და ბიზნესი.

საშუალო კლასი აქტიურად და წარმატებით იბრძოდა იმისთვის, რომ მიეღო ფართო წარმომადგენლობა, იმდენად რომ გათანაბრებოდა ერთად აღებულ დიდგვაროვნებსა და სასულიერო იერარქებს. ეს იყო ზომიერი ამბიცია იმ ჯგუფისათვის, ვინც წარმოადგენდა ქვეყნის მოსახლეობის 95 პროცენტს. ისინი ამ პერიოდის-

თვის უკვე მთელი ყურადღებით იბრძოდნენ უფლებისთვის, რომ გამოეყენებინათ თავიანთი პოტენციური უმრავლესობა და გადაექ-ციათ გენერალური შტატები ინდივიდუალური დეპუტატების კრე-ბად, სადაც ადამიანები დამოუკიდებლად მიიღებდნენ გადაწყვე-ტილებას და არა როგორც ფეოდალური პერიოდის სტრუქტურის წარმომადგენლები, რომლებსაც მხოლოდ ბრძანებების შესრულება დაევალებოდათ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში დიდგვაროვნები და ეკლესია ყოველთვის გადაწონიდნენ მესამე წოდებას.

პირველი რევოლუციური გარღვევა სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა. გენერალური შტატების გახსნიდან ექვსი კვირის შემდეგ, მესამე წოდება გაღიზიანებული იყო მეფის, დიდ-გვაროვნების და ეკლესიის მიერ ქმედებების განზრახ გაწელვით. ისინი დამოუკიდებლად შეიკრიბნენ და მოუწოდეს ყველას, ვინც მზად იყო რომ შეერთებოდნენ მათ ეროვნულ ასამბლეაში და ემუშ-ავათ კონსტიტუციის ცვლილებაზე. საპასუხოდ დაწყებულმა კონ-ტრრევოლუციის მცდელობამ აიძულა მესამე წოდების ბანაკი, რომ მათი მოთხოვნების ფორმულირება ინგლისში მოქმედი თემთა პა-ლატის ანალოგიურად განეხორციელებინათ. აბსოლუტიზმი ბოლო დღეებს ითვლიდა, მირაბომ - კაშკაშა და გავლენიანმა ყოფილმა დიდებულმა მეფეს გენერალური შტატების ყრილობის დროს უთ-ხრა: „ბატონო, თქვენ აქ უცხო ხართ, თქვენ არ გაქვთ აქ საუბრის უფლება“.

მესამე წოდებამ გაიმარჯვა მეფის და პრივილეგირებული კლასების წინააღმდეგობის მიუხედავად. ეს მოხდა არა იმიტომ, რომ მესამე წოდება წარმოადგენდა განათლებული და მებრძოლი უმცირესობის ბანაკს, არამედ ბევრად უფრო დიდ ძალას: დიდი ქა-ლაქების გაჭირვებულ მუშებს, პირველ რიგში პარიზელ ღარიბებს და ასევე რევოლუციურ გლეხობას.

მიზეზი, რისთვისაც შეზღუდული რეფორმისტული აგიტაც-ია რევოლუციურად გადაიქცა, მდგომარეობს იმ ფაქტში, რომ გენე-

რალური შტატების მოწვევა დაემთხვა ძირეულ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს. გვიანი 1780-იანი წლები ბევრი მიზეზის გამო ურთულესი პერიოდი იყო ფრანგული ეკონომიკის ყველა შრისათვის, ხოლო 1788 და 1789 წლების ცუდი მოსავალი, ძალიან რთულ ზამთართან ერთად, ამ კრიზისს კიდევ უფრო ამძიმებდა.

ცუდი მოსავალი აზიანებდა გლეხობას, გარკვეული დროის მანძილზე მსხვილი საწარმოები პროდუქტს „შიმშილობის ფასებში“ ყიდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას კი, სიღარიბიდან გამომდინარე, მაინც არ შეეძლო საკვების ყიდვა და ხშირად ხორბლის მარცვლებით იკვებებოდა, ან წინასწარ ცდილობდნენ საკვების მცირე ნაწილის მომარაგებას. ცუდი მოსავალი ასევე აზიანებდა ქალაქის ღარიბთა ფენას, ვისი ხარჯებიც - განსაკუთრებით კი პურის საყიდლად საჭირო, სულ მცირე გაორმაგდა. ცუდი მოსავალი იმდენად მასშტაბური მოვლენა იყო, რომ სოფლის გაღატაკებამ საქონლის გარეშე დატოვა მწარმოებლები და დეპრესია ინდუსტრიულ სფეროებსაც გადაედო. სოფლად მცხოვრები ღარიბები ამბოხსა და ყაჩაღობას უფრო და უფრო ხშირად მიმართავდნენ, ქალაქის ღარიბები კი კიდევ უფრო სასოწარკვეთილები იყვნენ იმიტომ რომ ქალაქში სამუშაო ადგილები ქრებოდა, საცხოვრებელი ფასები კი უფრო იზრდებოდა. ნორმალურ გარემოში პატარა და სუსტი ამბოხებები გარდაუვალი იქნებოდა, თუმცა 1788 და 1789 წლებში არსებულმა სახელისუფლებო კრიზისმა და საარჩევნო კამპანია-პროპაგანდამ ხალხის უიმედობას პოლიტიკური პერსპექტივა მიანიჭა.

ხალხმა წინ წამოწია მასშტაბური და ხმაურიანი იდეა, რაც გულისხმობდა ჯენტრისგან და ჩაგვრისგან გათავისუფლებას, მესამე წოდების დეპუტატების უკან ამბოხებული ხალხის დიდი რაოდენობა იდგა.

კონტრრევოლუციამ პოტენციური მასობრივი აჯანყება რეალობად აქცია. ჩანდა, რომ ძველი რეჟიმი ეცდებოდა წინააღმდეგობის გაწევას, თუ საჭირო იქნებოდა არმიის გამოყენებითაც. თუმცა მე-

ფის ხელისუფლებისთვის უკვე არმიაც აღარ იყო სანდო ძალა (მხოლოდ რეალობას მოწყვეტილი მეოცნებე თუ იტყოდა რომ ლუი მეთექვსმეტეს შეეძლო მარცხის აღიარება და უფლებების შეკვეცა აბსოლუტურიდან კონსტიტუციურ მონარქამდე, იმაზე ნაკლებად სულელი და უმაქნისი კაციც რომ ყოფილიყო, და შედარებით უფრო პასუხისმგებლიანი და გონიერი მეუღლეც რომ ჰყოლოდა, ან კატასტროფული რჩევებისათვის რომ არ ესმინა).

ფაქტობრივად კონტრრევოლუციამ პარიზელთა ფართო მასების მობილიზება გამოიწვია, ეს ხალხი მშიერი და ბრძოლისთვის განწყობილი იყო. ამ მობილიზაციის ყველაზე სენსაციურ შედეგად ბასტილიის ციხის აღება შეგვიძლია მოვინიშნოთ, რომელიც სახელმწიფოს კუთვნილი საპყრობილე იყო და სამეფო ავტორიტეტის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. აღსანიშნავია, რომ რევოლუციონერებს ციხეში უპირველესად იარაღის მარაგი ეგულებოდათ და ამიტომაც აიღეს ის. რევოლუციის მომენტში არაფერი უფრო ძლიერი არ არის ვიდრე სიმბოლოების დაცემა, ბასტილიის ხელში ჩაგდებამ, რომელიც 14 ივლისს მოხდა და დღეს საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულია, ხაზი გაუსვა დესპოტიზმის დაცემას, ეს მოვლენა მთელს მსოფლიოში გათავისუფლების დასაწყისად იქნა მიჩნეული. თვით ზომიერმა ფილოსოფოსმა, კონიგსბერგელმა იმანუელ კანტმა, ვისი ჩვევებიც ისეთი რეგულარული იყო, რომ მოქალაქეები საათს მის მიხედვით ასწორებდნენ, გადადო შუადღის საათის გასწორების რუტინა, როდესაც ბასტილიის დაცემის შესახებ ახალი ამბავი გაიგო. ამით მან ამცნო კონიგსბერგელებს, რომ მოხდა მსოფლიოში ძლიერი მიწისძვრის სადარი მოვლენა. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ ბასტილიის დაცემამ ხელი შეუწყო რევოლუციის გავრცელებას საფრანგეთის პროვინციულ ქალაქებსა და სოფლებში.

გლეხთა რევოლუციები ყოვლისმომცველი, ფართო, ანონიმური, თუმცა შეუჩერებელი მოძრაობებია. გლეხთა ამბოხის ეპიდემია, რამაც დამანგრეველ ძალად აქცია იყო ჯანყი პროვინციულ ქალა-

ქებში და მასობრივი პანიკის ტალღა, რაც ბუნდოვნად თუმცა სწრაფად გავრცელდა მთელი ქვეყნის მასშტაბით: 1789 წლის ივლისის მეორე ნახევრიდან აგვისტოს დასაწყისის ჩათვლით, საფრანგეთის პროვინციებში ფეოდალიზმი და სამეფო კარის მორჩილი სახელმწიფო მანქანა ფრაგმენტებად იყო დამსხვრეული. სახელმწიფო ძალაუფლების ყველა ნარჩენი სხვადასხვა საჯარისო შენაერთებად დაიყო, რასაც მეფის ხელისუფლება ვერ დაეყრდნობოდა, ეროვნულ ასამბლეას თავის მხრივ არ გააჩნდა ერთიანი ძალაუფლება, ხოლო ადგილობრივი და პროვინციული საშუალო კლასი იწყებდა პროვინციებში ბურჟუაზიული „ეროვნული გვარდიის“ ჩამოყალიბებას პარიზის მაგალითზე.

საშუალო კლასმა და არისტოკრატიამ მალევე მიიღო ახალი და გარდაუვალი რეალობა: ყველა ფეოდალური პრივილეგია ოფიციალურად გაუქმდა, ხოლო როცა პოლიტიკური სიტუაცია ჩაწყნარდა, მათ მოუწიათ საკუთარი „გაწმენდისათვის“ გარკვეული საფასურების გადახდა. ფეოდალიზმის საბოლოო გაუქმება 1793 წლამდე არ მომხდარა, თუმცა 1789 წლის აგვისტოს ბოლოსათვის რევოლუციას უკვე გააჩნდა საკუთარი ფორმალური მანიფესტი, „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებების შესახებ“. აღსანიშნავია რომ მეფე მოვლენებს მისთვის დამახასიათებელი სისულელით შეეწინააღმდეგა, ხოლო საშუალო კლასის რევოლუციონერთა ნაწილი, ვინც მასობრივი ამბოხის სოციალური შედეგებით იყო დამფრთხალი, იწყებდა იმაზე ფიქრს რომ საჭირო იყო კონსერვატიზმის ნაწილობრივი შემოტანა რევოლუციურ პროცესში.

მოკლედ, საფრანგეთის და ყველა თანმდევი ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი ფორმა ამ პერიოდისთვის უკვე მკაფიოდ აღქმადი იყო. დრამატული დიალექტიკური ცეკვა მომავალი თაობებისთვისაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ განმსაზღვრელად დარჩა. გარკვეული დროის შემდეგ ისტორიაში ჩვენ ისევ შევხვდებით ზომიერი საშუალო კლასის მიერ მასების მო-

ბილიზებას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ჩვენ ვნახავთ მასების სურვილს, რომ მიეღწიათ იმაზე მეტისთვის, ვიდრე ეს ზომიერ საშუალო კლასის ბანაკს სურდა, რის შემდეგაც საშუალო კლასი კონსერვატიულ ჯგუფთან ერთიანდებოდა და ამით რეაქციონერთა ბანაკში გადადიოდა. ამ დროს მემარცხენე ბანაკი მოტივირებული იყო რომ მასების დახმარებით მიეღწია იმ დასახული მიზნებისთვის რაც ზომიერებმა შუა გზაზე დატოვეს, იმ რისკის საფასურად რომ მასების კონტროლი დაეკარგათ.

და ასე შემდეგ, განმეორებით და წინააღმდეგობის ძირითადი ფორმის სხვადასხვა ვარიაციების სახით - მასობრივ მობილიზაციამდე - შემდეგ მარცხნივ გადახრა - შემდეგ განხეთქილება საშუალო კლასში და ზომიერების მარჯვნივ გადახრა - რის შედეგადაც საშუალო კლასის ძირითადი ნაწილი ან კონსერვატიულ ბანაკში გადადიოდა, ან მარცხდებოდა რევოლუციის წინაშე. ყველა შემდეგ ბურჟუაზიულ რევოლუციაში ზომიერი ლიბერალები ამგვარად იქცეოდნენ: ან უკან იხევდნენ ან კი რევოლუციის ადრეულ ეტაპზევე კონსერვატიულ ბანაკში გადადიოდნენ.

მართლაც, მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენ ხშირად ვხედავთ (ყველაზე თვალსაჩინოდ გერმანიაში) რომ საშუალო კლასი თავს იკავებდა რევოლუციისგან, რევოლუციიდანვე მომავალი გაურკვეველი შედეგებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საშუალო კლასი მიდიოდა კომპრომისზე მეფესთან ან არისტოკრატიასთან. საფრანგეთის რევოლუციის გამორჩეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ლიბერალური საშუალო კლასის ერთი ნაწილი მზად იყო რომ დარჩენილიყო რევოლუციის ერთგული მაშინაც კი, როცა რევოლუცია თავის ხასიათით ანტიბურჟუაზიული ხდებოდა. ესენი იყვნენ იაკობინელები, მათი სახელი დღემდე და ყველგან იგივდება ''რადიკალურ რევოლუციასთან''.

რატომ? ნაწილობრივ, რათქმაუნდა იმიტომ, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიას ლიბერალების შემდგომი თაობებისგან განსხვავე-

ბით არ გააჩნდა მეხსიერება და შიში იმ მოვლენის მიმართ, რაც დღეს ცნობილია როგორც საფრანგეთის რევოლუცია. 1794 წლის შემდეგ „ზომიერებისათვის“ უკვე ნათელი იყო, რომ იაკობინურმა რეჟიმმა ზედმეტად შორს წაიყვანა რევოლუცია ბურჟუაზიისთვის სასურველი კომფორტისა და პერსპექტივისგან. ასევე, რევოლუციონერებისათვის ცხადი გახდა, რომ ''1793 წლის მზე'' თუ ოდესმე კვლავ გამოანათებდა, ეს მხოლოდ არა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში იქნებოდა შესაძლებელი.

იაკობინელები რადიკალებად ითვლებოდნენ, რადგანაც იმ პერიოდში არ არსებობდა კლასი, რომელსაც შეეძლო მათგან განსხვავებული საზოგადოებრივი მოწყობის გეგმის წარმოდგენა. ამგვარი კლასი მოგვიანებით, ინდუსტრიული რევოლუციის პარალელურად გაჩნდა პროლეტარიატის სახით, ან უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით პროლეტარიატის, ანუ მუშათა კლასის გარშემო დარაზმული მოძრაობებისა და იდეოლოგიების სახით. საფრანგეთის რევოლუციაში მუშათა კლასი - ანუ დაქირავებული, არა მრეწველობით საქმიანობაში ჩართული ხელფასზე მომუშავე ხალხი არ თამაშობდა რაიმე განსაკუთრებულ როლს. შიმშილი მათაც აწუხებდათ, მასობრივ მღელვარებაში ისინიც იყვნენ ჩართულები, მაგრამ პრაქტიკული გაგებით ისინი ექვემდაბარებოდნენ არა მუშური კუთვნილების ლიდერებს.

აღსანიშნავია, რომ გლეხობა არასდროს წარმოადგენს პოლიტიკურ ალტერნატივას რაიმეს მისამართით, ის უფრო სიტუაციის მიხედვით ან ყალიბდება სტიქიურ ძალად, ან რჩება უძრავ ობიექტად. ბურჟუაზიული რადიკალიზმის ერთადერთ ალტერნატივას (თუ არ ჩავთვლით მცირე, უხერხემლო იდეოლოგიებს, რის გარშემოც უმცირესი ჯგუფები იყვნენ გაერთიანებული) წარმოადგენდნენ „სანკულოტები“ - უფორმო, ძირითადად საქალაქო მოძრაობა, რომელიც აერთიანებდა მშრომელ ღატაკებს, ხელოსნებს, გამყიდველებს და ა.შ. სანკულოტები იყვნენ სექციებად ორგანიზებული პა-

რიზში, ადგილობრივ პოლიტიკურ კლუბებში და ქმნიდნენ რევოლუციის მთავარ დამრტყმელ ძალას - დემონსტრაციის მონაწილეებს, მეამბოხეებს და ბარიკადების მშენებლებს. ჟურნალისტების: მარატის და ჰებერტის საშუალებით, ვინც მათი ადგილობრივი წარმომადგენლები იყვნენ, ისინი აყალიბებდნენ პოლიტიკას, რაშიც უნდა ვიგულისხმოთ ცუდად ფორმირებული და წინააღმდეგობრივი იდეები საზოგადოების მოწყობის შესახებ, ამ იდეებში იყო პატივისცემა (მცირე) კერძო საუკუთრების მიმართ, ასევე აღსანიშნავია სასტიკი წინააღმდეგობა მდიდრების მიმართ, მოთხოვნა ხელისუფლების მიერ ადამიანების დასაქმებაზე, და რაც მთავარია, მიზანი რადიკალური, თანასწორი და გამათავისუფლებელი დემოკრატიის შექმნისა, რომელიც იქნებოდა დეცენტრალიზებული (ანუ ადგილობრივი) და პირდაპირი.

ფაქტობრივად, სანკულოტები იყვნენ უნივერსალური და მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიმდინარეობის ნაწილი, რომლის მიზანიც იყო მოსახლეობის იმ უზარმაზარი მასის ინტერესების გამოხატვა, რომელიც არსებობდა „ბურჟუაზიის“ და „პროლეტარიატის“ პოლუსებს შორის. თუმცა, ეს მიმდინარეობა პროლეტარიატთან უფრო ახლოს იყო ვიდრე ბურჟუაზიასთან, მინიმუმ იმიტომ, რომ ამ ხალხის უდიდესი ნაწილი საზოგადოების უკიდურესად გაჭირვებულ ფენას წარმოადგენდა.

ჩვენ შეგვიძლია ვეძებოთ მსგავსი მიმდინარეობები აშშ-ში (ჯეფერსონიანიზმში ან ჯექსონურ დემოკრატიაში) ბრიტანეთში (როგორც „რადიკალიზმი”), საფრანგეთში (როგორც მომავალი „რესპუბლიკელების“ ან რადიკალი სოციალისტების წინაპრები) ან იტალიაში (როგორც მაძინის ან გარიბალდის მიმდევრები) და ა.შ.

ძირითადად, ამგვარი რადიკალური მოძრაობები პოსტრევოლუციურ პერიოდში მშვიდდებოდა და საშუალო კლასის მემარცხენე ლიბერალიზმად გარდაიქმნებოდა ხოლმე. ეს გარდაქმნა სახალხო ლეგიტიმაციას უტოვებდა მემარცხენე აზროვნებას და კრიზისის

დროს „მემარცხენე ლიბერალები“ ხშირად გამოდიოდნენ „ფულის კედლის“ ან „ეკონომიკური როიალისტების“ და „ადამიანის საწამებელი ოქროს ჯვრის“ წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ვერც სანკულოტიზმმა წამოაყენა რაიმე ხელშესახები ალტერნატივა. მათი იდეალი - სოფლის მცხოვრებთა და ხელოსანთა ოქროს წარსული ან მცირე ფერმის მფლობელთა და ოსტატთა ოქროს მომავალი, რომელსაც ბანკირები ან მილიონერები ვერ მოერეოდნენ, არ იყო სინამდვილეში შესრულებადი. ისტორია სანკულოტების წინააღმდეგ მიდიოდა, ყველაზე მეტი, რაც მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ და რასაც მათ მიაღწიეს 1793-94 წლებში იყო იმ დაბრკოლებების შენება, რამაც საფრანგეთის ეკონომიკური ზრდა გარკვეულწილად შეაჩერა. ფაქტობრივად, სანკულოტიზმი იმდენად განწირული ფენომენი იყო, რომ მათი სახელი დღეს დიდწილად მივიწყებულია, ან მათ იხსნებენ როგორც იაკობინელების სინონიმს. სინამდვილეში კი სანკულოტიზმმა გზა გაუკვალა იაკობინელების ძალაუფლებას რევოლუციის მეორე წელს.

1789 და 1791 წლებში გამარჯვებულმა ზომიერმა ბურჟუაზიამ, მოქმედმა როგორც დამფუძნებელმა კრებამ, წარადგინა და მიზნად დაისახა საფრანგეთის რეფორმირების გეგმა. რევოლუციის შედეგად მომხდარი ინსტიტუციური მიღწევები ძირითადად ამ წლებიდან იღებს სათავეს, ისევე როგორც საფრანგეთის რევოლუციიდან გამომდინარე საერთაშორისო ჯაჭვური მოვლენები, მათ შორის მეტრული სისტემის დანერგვა და ებრაელების ემანსიპაციის პირველი შემთხევა. ეკონომიკურად, დამფუძნებელი კრების პერსპექტივები თავიდან ბოლომდე ლიბერალური შინაარსის იყო: გლეხთა მიმართ წარმოებულ პოლიტიკაში ხაზგასასმელია საერთო მიწების შემოღობვა და სასოფლო წარმოების წახალისება, მუშათა კლასს აეკრძალა პროფესიული კავშირების შექმნა, სხვადასხვა სახის ხელოსნებს კი გილდიების და კორპორაციების დაფუძნება.

ეს რეფორმები ნაკლებად იყო დამაკმაყოფილებელი უბრალო ხალხისთვის, თუმცა 1790 წლიდან სიტუაცია იცვლება, საეკლესიო მიწების გაყიდვის და ზოგადად, სეკულარიზაციის პოლიტიკის პარალელურად (აქვე უნდა აღინიშნოს გაქცეული დიდგვაროვნების ქონების გაყიდვაც), კლერიკალიზმის როლი საფრანგეთში შემცირდა, ამან ხელი შეუწყო პროვინციელ და გლეხ მეწარმეებს და ბევრ გლეხს სოლიდური შემოსავალიც შესძინა, როგორც ერთგვარი გასამრჯელო მათი დამსახურებისათვის რევოლუციის წინაშე. 1791 წლის კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად შეკვეცა დემოკრატია და წინ წამოწია კონსტიტუციური მონარქიის სისტემა, რაც თავის მხრივ ეყრდნობოდა „აქტიური მოქალაქეების'' ფართო ქონებრივ ქსელს. შედარებით პასიური მოქალაქეები კი ბედის ანაბარა იყვნენ დატოვებულები იმ დაშვებით, რომ ისინი ბევრს იშრომებდნენ თავის დასამკვიდრებლად.

ფაქტობრივად კი ეს არ მოხდა, მონარქია შედარებით გაძლიერდა წარსულში რევოლუციონერი ბურჟუაზიული ფრაქციის მხარდაჭერით, შესაბამისად, მეფის ხელისუფლებას ვერაფერი აიძულებდა, რომ ძალაუფლება დაეთმო და ახალი საზოგადოებრივი ფორმაციისთვის გაეხსნა გზა. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები ოცნებობდნენ და ცდილობდნენ გაეკეთებინათ ყველაფერი იმისთვის, რომ მათ „ბიძაშვილებს'' სამეფო ხელისუფლების ბანაკიდან მოეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა სასამართლოებში და გაეყარათ იქედან მესამე წოდების წარმომადგენლები, რაც ძალაუფლებას სრულიად დაუბრუნებდა „ღმერთის მიერ დანიშნულ“ საფრანგეთის ყველაზე კათოლიკე და მორწმუნე მეფეს.

მესამე წოდების ძალისხმევის შედეგად მიღებული სამოქალაქო კანონი ეკლესიის შესახებ (1790 წლის) იყო დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ ჩანდა მცდელობა რომ დანგრეულიყო არა ეკლესია, არამედ ეკლესიის რომაული აბსოლუტისტური სტრუქტურა. ამან სამღვდელოების სრული უმრავლესობა რევოლუციის საწინააღმდეგო

ბანაკში გადაისროლა და ხელი შეუწყო მეფის სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ჩავარდნას, რასაც შედეგად მოჰყვა მეფის (როგორც მოვლენებმა მომავალში გამოაჩინა) ქვეყნიდან გაქცევის თვითგამანადგურებელი მცდელობა. ის შეიპყრეს ვარენთან (1791 წლის ივნისში) რის შემდეგაც რესპუბლიკური ბანაკი მასობრივ ძალად იქცა; ტრადიციულად, მეფეები ვინც ტოვებენ თავიანთ ხალხს, კარგავენ უფლებას რომ ითხოვდნენ ერთგულებას.

მეორეს მხრივ, უკონტროლო თავისუფალმა საწარმოო ეკონომიკამ, რასაც ზომიერი ბურჟუაზია ლობირებდა, ხელი შეუწყო საკვების ფასების მერყეობას და გამოიწვია ქალაქებში მცხოვრები ღარიბების რადიკალიზაცია, განსაკუთრებით კი ეს პარიზში იყო შესამჩნევი. პურის ფასი პარიზის პოლიტიკურ ტემპერატურას თერმომეტრის სიზუსტით ასახავდა და პარიზის მასები რევოლუციის წამყვან ძალად იქცნენ, ტყუილად არ იყო საფრანგეთის ახალ სამფეროვან დროშაზე ძველი სამეფო თეთრი ფერის გარდა პარიზის გამომხატველი წითელ-ლურჯი ფერები.

პრუსიასთან დაწყებულმა ომმა მოვლენები დააჩქარა, რასაც მოჰყვა მეორე რევოლუცია 1792 წელს, მეორე წლის იაკობინური რესპუბლიკა და საბოლოოდ ნაპოლეონ ბონაპარტეს აღზევება. სხვა სიტყვებით, ამ ომის შემდეგ მოვლენები უფრო მასშტაბური გახდა და საფრანგეთის ისტორიიდან ევროპის ისტორიად იქცა. საფრანგეთს ომისკენ ორი ძალა უბიძგებდა: რადიკალური მემარჯვენე ბანაკი და ასევე ზომიერი მემარცხენე ბანაკი. მეფის მხარეს მდგომი ფრანგი დიდგვაროვნები და არისტოკრატიის/საეკლესიო ელიტის გაქცეული წევრები გერმანიის დასავლეთ ნაწილის ქალაქებში იყვნენ თავმოყრილი. ჩანდა, რომ ძველი რეჟიმის აღდგენა მხოლოდ საგარეო ინტერვენციით თუ იქნებოდა შესაძლებელი[3]. ამგვარი ინ-

[3] 1789 წლიდან 1795 წლამდე საფრანგეთიდან 300 000-მდე ადამიანი წავიდა ემიგრაციაში პოლიტიკური მიზეზებიდან გამომდინარე.

ტერვენცია ადვილად დასაგეგმავი სულაც არ იყო, გამომდინარე საერთაშორისო სიტუაციის კომპლექსურობიდან და სხვა ქვეყნების პოლიტიკური სიმშვიდიდან. თუმცა, ევროპის ქვეყნების დიდგვაროვნების და „ღმერთის მიერ“ ხელდასმული მმართველებისთვის უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა ერთი რამ: ლუი მეთექვსმეტისთვის ძალაუფლების უკან დაბრუნებაში დახმარება მხოლოდ სოლიდარობის აქტი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი დაცვითი მექანიზმიც, რაც დაიცავდა მათ ძალაუფლებას საფრანგეთის რევოლუციის სწრაფად გავრცელებადი იდეებისაგან. შესაბამისად, საფრანგეთის ხელახალი დაპყრობისათვის ძალები ქვეყნისგან შორს, საზღვარგარეთ გროვდებოდა.

ამავდროულად, თავად ზომიერი ლიბერალები, გამორჩეულად კი ის ჯგუფი, რომელიც თავმოყრილი იყო ჟირონდისტების მერკანტილური ჯგუფის გარშემო, საკმაოდ ბრძოლისუნარიანი იყო. ეს ნაწილობრივ იმ ფაქტიდან გამომდინარეობდა, რომ ყველა დიდი რევოლუცია თავის ბუნებით ეკუმენურია. ფრანგებისთვის, ისევე როგორც მათი უცხოელი გულშემატკივრებისთვის, საფრანგეთის გამარჯვება თავისუფლების ტრიუმფის პირველი ნაბიჯი იყო. ამ მოსაზრების მიხედვით, საფრანგეთს თავის თავზე უნდა აეღო ჩაგვრისა და ტირანიის ქვეშ მცხოვრები ხალხების გათავისუფლება. რევოლუციონერებს შორის (მიუხედავად იმისა, ზომიერ ფრთას წარმოადგენდნენ თუ რადიკალურს), არსებობდა ეგზალტაცია და ვნება იმისა, რომ მიეღოთ მონაწილეობა კონტინენტის მასშტაბით თავისუფლების დამკვიდრების პროცესში, შესაბამისად საზღვრები ფრანგი ერის და „დაპატიმრებული“ კაცობრიობის პრობლემებს შორის გაფერმკრთალებული იყო.

საფრანგეთის რევოლუციის ძირითად მოთხოვნებს და ხედვებს კონტინენტის ყველა რევოლუციური მოძრაობა იზიარებდა ან ითვისებდა მინიმუმ 1848 წლამდე. ევროპის გათავისუფლების ყველა გეგმა 1848 წლამდე გულისხმობდა ხალხების ერთობრივ ამბოხს

საფრანგეთის ლიდერობის ქვეშ, რომ დამარცხებულიყო ევროპული რეაქცია. 1830 წლის შემდეგ ლიბერალური და ეროვნული რევოლუციური მოძრაობები, როგორიც იყო, მაგალითად, იტალიის ან პოლონეთის ეროვნული მოძრაობა, ანალოგიურად ხედავდნენ საკუთარ როლს როგორც მესიანურს, რის შედეგადაც მათ სხვა ერებისთვისაც უნდა მოეტანათ თავისუფლება.

მეორეს მხრივ, ნაკლებად იდეალისტურად თუ შევხედავთ, ომს ასევე შეეძლო რიგი საშინაო პრობლემების დადებითად გადაწყვეტა. პირველ რიგში, ახალ რეჟიმს გაუადვილდა მმართველობითი პრობლემების გადაბრალება გაქცეული ფრანგებისათვის და უცხოეული ტირანებისათვის, შესაბამისად: მზარდი სახალხო უკმაყოფილებამ ამ უკანასკნელთა მიმართ ადვილად გადაიწია. უფრო კონკრეტულად, ბიზნესმენები ამბობდნენ რომ გაურკვეველი ეკონომიკური პერსპექტივები, ვალუტის გაუფასურება და სხვა დაბრკოლებები გაქრებოდა, თუ ინტერვენციის რისკი აღარ იარსებებდა. ბიზნესი და მისი იდეოლოგები ბრიტანეთის მაგალითის საფუძველზე აღნიშნავდნენ, რომ ეკონომიკური ტრიუმფი სისტემატიური აგრესიულობის შვილი იყო (მეცხრამეტე საუკუნე არ იყო ის ეპოქა, როდესაც წარმატებული ბიზნესი და მშვიდობა ერთად იარსებებდა). უფრო მეტიც, რაც მალე გამოჩნდა, ომის წარმოებით გარკვეული ფინანსური მოგების მიღებაც იყო შესაძლებელი.

ამ მიზეზებიდან გამომდინარე, ახალი საკონონმდებლო ასამბლეის უმრავლესობა ქადაგებდა ომს, პატარა მემარჯვენე ჯგუფის და პატარა მემარცხენე ჯგუფის გარდა (ამ უკანასკნელს მაქსიმილენ რობერსპიერი ხელმძღვანელობდა). ისევ ამ მიზეზებით, როდესაც ომი დაიწყო, რევოლუციის მიღწევებში გაერთიანდა გათავისუფლება, ექსპლუატაცია და პოლიტიკური დივერსია. საღვთო რომის იმპერიასთან ომი 1792 წლის აპრილში გამოცხადდა. განცდილ მარცხს ხალხი (სრულიად ლეგიტიმურად) სამეფო საბოტაჟს და ღალატს უკავშირებდა. ამან ხელი შეუწყო მასების კიდევ უფრო რადი-

კალზებას და აგვისტო სექტემბერში მონარქია გადავარდა, გამოცხადდა პირველი და „გაუყოფელი“ რესპუბლიკა. ეს მიჩნეული იქნა ახალ ერად კაცობრიობის ისტორიაში და აღნიშნული იყო როგორც პირველი წელი რევოლუციურ კალენდარში პარიზის შეიარაღებული სანკულოტი მასების მიერ.

საფრანგეთის რევოლუციის რკინის და გმირული ეპოქა დაიწყო პოლიტიკური პატიმრების მკვლელობებით, ეროვნული კონვენტის არჩევნებით (რაც ალბათ ყველაზე აღსანიშნავი ყრილობა იყო პარლამენტარიზმის ისტორიაში) და დამპყრობელთა მიმართ სრული წინააღმდეგობის მოწოდებით. მეფე დააპატიმრეს და მტრის შემოჭრა მოგერიებულ იქნა დრამატული საარტილერიო დუელის შემდეგ ვალმისთან. რევოლუციური ომები აწესებენ თავიანთ ლოგიკას, ეროვნულ კონვენციაში დომინანტი პარტია ჟირონდისტები იყვნენ, ბრძოლისთვის შემართულები საგარეო ურთიერთობებში და ზომიერები საშინაოში, ეს ჯგუფი იყო საპარლამენტო ორატორების ერთობა, ისინი წარმოადგენდნენ დიდ ბიზნესს, პროვინციულ ბურჟუაზიას და განსაკუთრებული ინტელექტუალური მონაცემები ჰქონდათ.

მათი პოლიტიკური დღისწესრიგის დიდხანს შენარჩუნება ცალსახად შეუძლებელი იყო. მხოლოდ იმ ქვეყნებს, ვინც იწყებდა შეზღუდულ საომარ ოპერაციებს და გააჩნდათ რეგულარული არმია, შეეძლოთ იმედის შენარჩუნება, რომ ომს და საშინაო სტაბილურობას ერთმანეთს შეუთავსებდნენ, როგორც ამას ჯეინ ოსტინის ქალი და მამაკაცი პერსონაჟები ახერხებდნენ იმდროინდელ ბრიტანეთში. რევოლუციური ხელისუფლების ომები არც ლიმიტირებული იყო და მაშინდელ საფრანგეთს არც რეგულარული არმია არ გაჩნდა. საფრანგეთის რევოლუცია მერყეობდა უკიდურეს გამარჯვებას (რაშიც იგულისხმება რევოლუციის მთელს მსოფლიოში გავრცელება) და უკიდურეს მარცხს (რაშიც იგულისხმება კონტრ-რევოლუციური ძალების ტოტალური ტრიუმფი) შორის, საფრანგეთის

არმია კი, რომელიც სამეფო არმიის ნარჩენებისგან შედგებოდა, არაეფექტური და არასანდო იყო. რესპუბლიკის მთავარი სამხედრო - გენერალი დუმორიე მალევე გაიქცა არმიიდან.

ამგვარი ომის მოგება მხოლოდ უპრეცედენტო და რევოლუციური მეთოდებით იყო შესაძლებელი. ფაქტობრივად, ეს მეთოდები იპოვეს კიდეც. კრიზისის პირობებში, ახალგაზრდა საფრანგეთის რესპუბლიკამ აღმოაჩინა ან გამოიგონა ტოტალური ომი: ერის რესურსების ტოტალური მობილიზაცია - აღწერის, გათვლის და მკაცრად კონტროლირებული საომარი ეკონომიკის საშუალებით, რაშიც ასევე უნდა ვიგულისხმოთ მოქალაქესა და ჯარისკაცს შორის ზღვარის ხელოვნურად წაშლა და ყველა მოქალაქის ჯარისკაცად ქცევა. ამ ''აღმოჩენის'' მნიშვნელობა მხოლოდ ჩვენს აწყმოში გახდა შესაძლებელი, 1792-94 წლების რევოლუციური ომი გამონაკლის შემთხევად დარჩა, მეცხრამეტე საუკუნის მოაზროვნეები ამ ფენომენით არ დაინტერესებულან, ვიქტორიანული პერიოდის ინგლისში ისიც კი დაავიწყდათ, რომ ომები რევოლუციებს იწვევენ და რომ რევოლუციებს თავის მხრივ შეუძლიათ მოუგებელი ომების მოგება.

ჩვენ მხოლოდ დღეს შეგვიძლია დავინახოთ თუ რამდენად გავს იაკობინური რესპუბლიკა და 1793-94 წლების „ტერორი“ თავის შინაარსით თანამედროვე ომების ტოტალურ ბუნებას. სანკულოტები მიესალმნენ რევოლუციონერთა ომის ხელისუფლებას არა მხოლოდ იმიტომ, რომ რევოლუციონერები სამართლიანად შენიშნავდნენ მტრის შემოჭრის და კონტრ-რევოლუციის დამარცხების ამგვარ შესაძლებლობას, არამედ ასევე იმიტომ რომ ომის თანმდევი მეთოდები ხელს უწყობდა ხალხის მობილიზებას და უფრო აახლოვებდა სოციალური სამართლიანობის იდეას სინამდვილესთან.

მეორეს მხრივ, ჟირონდას ეშინოდა მასობრივი რევოლუციის და ომის კომბინაციის პოლიტიკური შედეგებისა, მათი პოლიტიკური „არსენალი“ კი განწირული იყო მემარცხენეებთან შეჯიბრში მარცხისათვის. მათ არ სურდათ მეფის გასამართლება და სიკვდი-

ლით დასჯა, თუმცა მტრულ ჯგუფთან, „მთასთან“ (იაკობინელები) მუდმივი დაპირისპირების რეჟიმში იყვნენ რევოლუციის კვერთხისათვის, ამ ბრძოლაში საბოლოოდ პრესტიჟი „მთამ“ მოიპოვა და არა ჟირონდამ. მეორეს მხრივ, მათ სურდათ ომის გადატანა ზოგად, იდეოლოგიურ და გამათავისუფლებელ ჯვაროსნულ ომში მათი პირდაპირი ეკონომიკური მეტოქის, ბრიტანეთის წინააღმდეგ. ამაში მათ წარმატებას მიაღწიეს. 1793 წლის მარტისთვის საფრანგეთი ომში იყო ევროპის უდიდეს ნაწილთან და იწყებდა უცხოური მიწების ანექსიას (რასაც ლეგიტიმაციას სძენდა საფრანგეთში ახლად გამოგონებული დოქტრინა „საფრანგეთის უფლებების შესახებ მის მოსაზღვრე მიწებზე“).

თუმცა, ომის გავრცელებამ, იმის გათვალისწინებით რომ შედეგები არასასურველი მიმართულებით მიდიოდა, მნიშვნელოვნად გააძლიერა მემარცხენე ბანაკი, რომელიც ერთადერთი ძალა იყო ვისაც ომში გამარჯვება შეეძლო. თავდაცვის რეჟიმში და მანევრების გარეშე ჟირონდა საბოლოოდ დაუპირისპირდა კიდეც მემარცხენე ბანაკს მყიფე მიზეზებზე დაყრდნობით რაც საბოლოოდ პროვინციების ორგანიზებულ გამოსვლებში გადაიზარდა პარიზის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა სანკულოტების მიერ ორგანიზებული ელვისებური სახელმწიფო გადატრიალება და ჟირონდას გადაგდება ხელისუფლებიდან 1793 წლის 2 ივნისს, რაც საბოლოოდ იაკობინური რესპუბლიკის დამყარებაში გამოიხატა.

III

როდესაც განათლებული ადამიანი, ვინც პროფესიით ისტორიკოსი არ არის, საფრანგეთის რევოლუციაზე ფიქრობს, პირველ რიგში ახსენდება 1789 წლის მოვლენები. თუმცა, გამორჩეულად დასამახსოვრებელი მისთვის იაკობინური რესპუბლიკა და მეორე წელია: ამაყი რობერსპიერი, გოლიათი და როხროხა დანტონი, სენტ-იუსტის რევოლუციური ელეგენტურობა ან ხმაურიანი მარატი,

სახალხო უსაფრთხოების კომიტეტი, რევოლუციური ტრიბუნალი და გილიოტინა ის სურათებია, რასაც გონებაში იმთავითვე ვხედავთ საფრანგეთის რევოლუციის ხსენებისას.

ზომიერი რევოლუციონერების სახელებიც კი, ისეთებისა როგორებიცაა მირაბუ ან ლაფაიეტი 1789 წლიდან ან იაკობინელი ლიდერები 1793 წელს ისტორიკოსების მახსოვრობაში უფრო მცირე ადგილს იკავებენ. ჟირონდისტები ახსოვთ როგორც ჯგუფი, ან მათთან დაკავშირებული, თუმცა პოლიტიკურად გულუბრყვილო ქალების სახით - მადამ როლანის ან შარლოტა კორდეს სახით. ვინ იცის ისტორიკოსების გარდა ბრიზოს, ვერნოს, გუადეს და სხვათა სახელები? კონსერვატორებმა დახატეს ტერორის, დიქტატრის და ისტერიული სისხლის წყურვილის შთამბეჭდავი სურათი პირველ რიგში მეოცე საუკუნის სტანდარტების პრიზმიდან. ამ ხედვის მთავარი მოტივი სოციალური რევოლუციების ჩახშობის გამართლებაა, რომლის საუკეთესო მაგალითი პარიზის კომუნის განადგურებაა 1871 წელს და რომელმაც ბევრად უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ვიდრე საფრანგეთის რევოლუციამ, სადაც თოთხმეტი თვის მანძილზე 17 000 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. რევოლუციონერები, განსაკუთრებით კი ფრანგები საფრანგეთის რევოლუციას ხედავენ როგორც პირველ სახალხო რესპუბლიკას, რომელიც ყველა შემდეგი რევოლუციის შთამაგონებელი იყო, ეს იყო ეპოქა რომელსაც დღევანდელი კრიტერიუმებით არ უნდა შევხედოთ.

მართალია, რომ იაკობინური რესპუბლიკა ტერორს ეყრდნობოდა, თუმცა საშუალო კლასის ფრანგებისათვის, ვინც ტერორის უკან იდგა, ეს არც პათოლოგიური იყო და არც აპოკალიპტური, არამედ ეს იყო პირველი და ლამის ერთადერთი მეთოდი, რომ მათ შეენარჩუნებინათ ქვეყანა. ეს იაკობინურმა რესპუბლიკამ შეძლო და მისი მიღწევები მართლაც თვალშისაცემია. 1793 წლის ივნისში, საფრანგეთის ოთხმოციდან სამოცი პროვინცია აჯანყებული იყო პარიზის წინააღმდეგ, საფრანგეთს უტევდნენ გერმანელი პრინცების ჯა-

რები ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან, ბრიტანელები კი სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ქვეყანა იყო უიმედოდ და გაკოტრების ზღვარზე. 14 თვის შემდეგ, მთელი საფრანგეთი ექვემდებარებოდა კონტროლს, დამპყრობლები ქვეყნის საზღვრებს მიღმა იყვნენ გაყრილები. მეტიც, საფრანგეთის არმიას დაპყრობილი ჰქონდა ბელგია და ძალიან მალე უწევდა ოცწლიანი სამხედრო ტრიუმფის ერაში შებიჯება.

1794 წლის მარტისთვის, არმია სამჯერ უფრო დიდი იყო ვიდრე 1793 წლის მარტში, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც ჯარი წინა წლის ბიუჯეტის ნახევარს ხარჯავდა. ფრანგული ვალუტა კი დასტაბილურებული იყო (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით ასიგნაციები) წარსულთან შედარებით. არ არის გასაკვირი რომ ჟინბონ სან ანდრე - სახალხო უსაფრთხოების კომიტეტის იაკობინელი წევრი, მტკიცე რესპუბლიკური ხედვებით მოგვიანებით ნაპოლეონის ერთერთი ყველაზე წარმატებული პრეფექტი გახდა. 1812-1813 წლების დამარცხების შემდეგ, სან ანდრე იხსენებდა იაკობინურ რესპუბლიკას, რომელმაც ბევრად უფრო მძიმე კრიზისი გადაიტანა ბევრაფ უფრო მცირე რესურსებით[4].

ასეთი ადამიანებისათვის, ანუ ეროვნული კონვენტის უმრავლესობისათვის, რომლებმაც რეალურად შეინარჩუნეს კონტროლი

[4] „იცით, რომელი ხელისუფლება (იყო გამარჯვებული)? კონვენტის ხელისუფლება, მგზნებარე იაკობინელების, ვინც წითელ ლენტს იმაგრებდა ქუდებზე და მძიმე, შალის ტანსაცმელი ეცვა, ხის ფეხსაცმლით და ცხოვრობდა პურზე და ცუდ ლუდზე, ეძინა მატრასებზე, რომელიც მათი კაბინეტების იატაკზე იდო, რომელზე ძილის დროც მათ თითქმის არასდროს ჰქონდათ. ესენი იყვნენ ადამიანები, ვინც გადაარჩინეს საფრანგეთი. ბატონებო, მე მათ შორის ვიყავი და აქ, იმპერატორის სასახლეში, სადაც რამდენიმე წამში უნდა შევდგა ფეხი, მე ვამაყობ ჩემი გავლილი გზით'' (ციტირებულია ჟ.სავანტის ნაშრომი, *ნაპოლეონის პრეფექტები).*

მთელი ამ გმირული პერიოდის მანძილზე, არჩევანი მარტივი იყო, ტერორი მთელი თავისი უარყოფითი ეფექტებით ან რევოლუციის განადგურება და ეროვნული სახელმწიფოს დაშლა, რისი მაგალითიც პოლონეთის სახით უკვე არსებობდა, იმ პერიოდში პოლონეთი უბრალოდ რუკიდან გაქრა. საფრანგეთი რომ ამგვარ კრიზისში არ ყოფილიყო, დიდი ალბათობით კონვენტი ნაკლებად უფრო რკინის რეჟიმს აირჩევდა და ცალსახად იტყოდა უარს ეკონომიკის მტკიცედ კონტროლზე: რობერსპიერის დაცემას მოჰყვა ეკონომიკური ქაოსის და რეკეტის ეპიდემია, რომელიც მალევე გადაიქცა შეუჩერებელ ინფლაციად და ეროვნულ გაკოტრებად 1797 წელს. თუმცა, ამ უვიწროესი თვალთახედვიდანაც კი, საფრანგეთის საშუალო კლასის პერსპექტივები დამოკიდებული იყო ერთიანი, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს სტაბილურობაზე. შეეძლო კი რევოლუციას, რომელმაც პრაქტიკულად შექმნა ტერმინები „ერი“ და „პატრიოტიზმი“ თანამედროვე გაგებით უარი ეთქვა „დიდ ერად“ ყოფნის ამბიციაზე?

იაკობინელების პირველი ამოცანა იყო მასების მობილიზება ჟირონდას და პროვინციელი დიდგვაროვნების წინააღმდეგობის საპირისპიროდ, და შეენარჩუნებათ პარიზის სანკულოტების მხარდაჭერა, რომელთა მოთხოვნებიც რევოლუციურ ომებთან დაკავშირებით (მასობრივი გაწვევა) ტერორთან დაკავშირებით მოღალატეების წინააღმდეგ, ან ფასების ხელოვნური კონტროლის შესახებ ემთხვეოდა კიდეც იაკობინელთა აზროვნებას. თუმცა, სანკულოტების რიგი მოთხოვნები გაკრვეულ პრობლემებსაც ქმნიდა.

რადიკალიზებული ახალი კონსტიტუცია, რომელსაც ჟირონდისტები აყოვნებდნენ, დამტკიცდა. ამ მნიშვნელოვანი, მაგრამ აკადემიური დოკუმენტის მიხედვით, ხალხს მიეცა უნივერსალური ხმის მიცემის უფლება, წინააღმდეგობის უფლება და სამუშაოს ქონის უფლება. პლუს, კონსტიტუციაში ჩაიწერა რომ საყოველთაო ბედნიერება ხელისუფლების მიზანი იყო, ხალხის უფლებები ფუნ-

დამენტური იყო კონსტიტუციისათვის. ეს იყო პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც თანამედროვე სახელმწიფომ დაამტკიცა. უფრო კონკრეტულად, იაკობინელებმა გააუქმეს ყველა დარჩენილი ფეოდალური უფლება მერყეობის გარეშე, გააუმჯობესეს მყიდველთა შანსები, რომ ეყიდათ გაქცეული დიდგვაროვნებისთვის ჩამორთმეული მიწები და რამდენიმე თვის შემდეგ, იაკობინელებმა გააუქმეს მონობა საფრანგეთის კოლონიებში, რითაც ხელი შეუწყეს სან დომინგოელ მონებს რომ ებრძოლათ რესპუბლიკის სახელით ინგლისელების წინააღმდეგ. ამ ზომებს შორსმიმავალი შედეგები ჰქონდა. ამერიკულ კოლონიებში მათ ხელი შეუწყვეს პირველი დამოუკიდებელი რევოლუციონერი ლიდერის, ტუსენ-ლუვერტურის გამოჩენას[5]. საფრანგეთში მათ შექმნეს აუღებელი ციხესიმაგრე მცირე და საშუალო გლეხი მფლობელებისთვის, მცირე ხელოსნების და ვაჭრებისთვის, რომლებიც ეკონომიკურად რეტროგრედები იყვნენ, მაგრამ მგზნებარედ უჭერდნენ მხარს რევოლუციას და რესპუბლიკას, რომელიც დომინირებდა იმ პერიოდის საფრანგეთის ცხოვრებაზე.

სოფლის მეურნეობის და მცირე მეწარმეობის კაპიტალისტური ტრანსფორმაცია, რაც აუცილებელი წინაპირობა იყო სწრაფი განვითარებისთვის, შენელდა; ამასთან ერთად შენელდა ურბანიზაციის სიჩქარე, ქვეყნის შიდა ბაზრის ექსპანსია, მუშათა კლასის გაზრდა და შესაბამისად, პროლეტარული რევოლუციის წინსვლაც. ორივე, დიდი ბიზნესიც და მუშათა მოძრაობაც განწირული იყო უმცირესობაში დასარჩენად საფრანგეთში, როგორც კუნძული რომელიც გარშემორტყმულია მესურსათეების, გლეხი მიწათმფლობელების და კაფეების მმართველთა ოკეანით. ახალი ხელისუფლების

[5] ნაპოლეონის საფრანგეთის წარუმატებლობა, რომ აეღოთ კუნძული ჰაიტი იყო საფრანგეთის მიერ ამერიკული მიწების დათმობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რაც დაბოლოვდა საფრანგეთის მიერ აშშ-სადმი ლუიზიანას მიყიდვით 1803 წელს.

ცენტრი, რომელიც წარმოადგენდა იაკობინელთა და სანკულოტე-ბის ალიანსს, მკაფიოდ გადაიხარა მარცხნივ, ეს ასევე აისახა სახეცვლილ სახალხო კომიტეტში, რომელიც სწრაფად გადაიქცა საფრანგეთის საომარ შტაბად.

კომიტეტმა დაკარგა დანტონი: ძლიერი, შეუვალი, შესაძლოა კორუმპირებული, მაგრამ შინაგანად ძლიერი რევოლუციონერი, უფრო ზომიერი, ვიდრე მაშინ ჩანდა (ის იკავებდა მინისტრის თანამდებობას უკანასკნელ სამეფო ადმინისტრაციაშიც) თუმცა შეიძინა მაქსიმილენ რობერსპიერი, რომელიც ნელ-ნელა ხდებოდა კომიტეტის ყველაზე გავლენიანი წევრი. რიგი ისტორიკოსები ნეგატიურად აფასებენ ამ კარგად ჩაცმულ, თხელ სისხლიან ფანატიკოს იურისტს, რომელსაც ერთგვარი პირადი მონოპოლია ჰქონდა დაწესებული მორალზე. ამ ნეგატიური განწყობის მიზეზი ის არის, რომ რობერსპიერის ფიგურა არის საშინელი და დიდებული მეორე წლის განსხეულება, ანუ იმ მომენტისა, რის მიმართაც არცერთი ადამიანი არ არის ნეიტრალური.

რობერსპიერი იყო არასტანდარტული ადამიანი; ისინიც კი ვინც თვლიან რომ რობერსპიერი მართალი იყო, დღესდღეობით მასზე წინ აყენებენ ბრწყინვალე მათემატიკის მცოდნე, სპარტანული სამოთხის ამშენებელ ახალგაზრდა სეინტ იუსტს. რობერსპიერი არ იყო დიდებული ადამიანი და მისი მიმართულებები ხშირად ვიწრო იყო, თუმცა ის ერთადერთი ადამიანია (თუ ნაპოლეონს არ ჩავთვლით) რომელიც რევოლუციამ „ჰაერში ააგდო“ და რომლის გარშემოც ჩამოყალიბდა პიროვნების კულტი.

ეს ასეა, რადგანაც მისთვის, ისევე როგორც ისტორიისთვის, იაკობინური რესპუბლიკა არ იყო მხოლოდ ომის მომგები მოწყობილობა, არამედ იყო ერთგვარი იდეალი, სამართლიანობის და მორალის ბატონობის შემზარავი და დიდებული მეუფება, სადაც ყველა კარგი მოქალაქე თანასწორი იყო ერთმანეთის მიმართ და სადაც ხალხი სჯიდა მოღალატეებს. ჟან ჟაკ რუსომ და მისმა მოძღვრებამ

მისცა რობერსპიერს ეს ძალა. მას არ გააჩნდა დიქტატორის ფორმალური ძალაუფლება და არც კაბინეტი, ის იყო რიგითი წევრი სახალხო უსაფრთხოების კომიტეტში, რომელიც წარმოადგენდა უფრო ძლიერის, კონვენტის ქვე-კომიტეტს. მისი ძალა ხალხის ძალას ასახავდა, ანუ პარიზის მასების ძალას, მის მიერ წარმოებული ტერორი კი პარიზის მასების მიერ წარმოებული ტერორი იყო. როდესაც პარიზმა რობერსპიერი მიატოვა, რობერსპიერი დაეცა.

რობერსპიერის და იაკობინური რესპუბლიკის ტრაგედია მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი იმთავითვე წინააღმდეგობაში მოდიოდნენ მათ მხარდამჭერებთან და გარდაუვალი იყო მათგან მხარდამჭერების გაუცხოება. რეჟიმი იყო ალიანსი საშუალო კლასს და მშრომელ ღარიბებს შორის. თუმცა საშუალო კლასის იაკობინელებისთვის სანსკულოტების საჭიროებები მისაღები მხოლოდ იმიტომ იყო, რომ ისინი ძალას სძენდნენ რეჟიმს საკუთრების მფლობელთა დაფრთხობის გარეშე, ამ ალიანსში კი იაკობინელები გადამწყვეტ როლს ინარჩუნებდნენ.

უფრო მეტიც, ომის მთავარი საჭიროებები კარნახობდა ნებისმიერ მთავრობას ცენტრალიზებას და დისციპლინას თავისუფალი, კლუბებსა და სექციებში არსებული ადგილობრივი პირდაპირი დემოკრატიის ხარჯზე, საიდანაც მოდიოდნენ მოხალისე სამხედრო ჯგუფები და საიდანაც მოდიოდა მოთხოვნა თავისუფალი, არგუმენტირებული არჩევნებისა სანკულოტების მხრიდან. პროცესმა, რომელმაც ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს (1836-39 წლებში) გაამლიერა კომუნისტები ანარქისტების ხარჯზე, გაამლიერა სეინტიუსტის იაკობინელები ჰუბერტის სანკულოტების ხარჯზე. 1794 წლისთვის, ხელისუფლება და პოლიტიკა მონოლითური იყო და იმართებოდა პირდაპირ კონვენტის მითითებებით, რომელსაც დელეგატები ასრულებდნენ, მათი უმრავლესობა იაკობინელი ოფიცრები იყვნენ, რომლებსაც გააჩნდათ კოორდინაცია ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან. საბოლოოდ, ომის ეკონომიკურმა

ხარჯებმა სახალხო მხარდაჭერა დააზიანა. ქალაქებში ფასის კონ-ტროლი მასებს აწყობდათ, თუმცა თანმდევი ხელფასების გაყინვა მათ აზიანებდათ. სოფლებში საკვების სისტემატიური რეკვიზიცია (რასაც ქალაქის სანკულოტები პირველ რიგში მოითხოვდნენ) აუც-ხოებდა გლეხობას.

მაშასადამე, მასებში უკმაყოფილება იზრდებოდა და საშიშ, ფეთქებად დუმილს ქმნიდა, განსაკუთრებით კი ყველაზე ცნობილი სანკულოტის ჰებერტის და მისი მომხრეების გასამართლების და სიკვდილით დასჯის შემდეგ. ამავდროულად, უფრო ზომიერი მხარდამჭერები დაფრთხნენ დანტონზე და მემარჯვენე ოპოზიცია-ზე თავდასხმების გამო, რომელსაც შეფარებული ყავდა რეკეტიორე-ბი, სპეკულანტები, შავ ბაზარზე მოვაჭრეები და სხვა კორუმპირე-ბული, თუმცა შემოსავლის შემომტანი ელემენტები და ამ ყველაფ-რის შესაღებ დანტონმა იცოდა, მეტიც ის თავად მონაწილეობდა ამ გარიგებებში. დანტონი თავად მხარჯველი და გართობის მოყვარუ-ლი ადამიანი იყო, ასეთი გარემო სოციალური რევოლუციების შემ-დეგ მალევე იქმნება თუმცა იქვე იჩრდილება აღმავალი მძიმე პუ-რიტანიზმის მიერ.

ისტორიაში დანტონებს ყოველთვის ამარცხებენ რობერსპიერ-ები (ან ისინი, ვისაც თავი მოაქვს რობერსპიერებად) იმიტომ, რომ ვიწრო, ძლიერი ძალისხმევა ყოველთვის უფრო წარმატებული ფაქ-ტორია და იმარჯვებს იქ, სადაც ბოჰემური ცხოვრება ვერასდროს გაიმარჯვებს. თუმცა, თუ რობერსპიერმა მოიპოვა ზომიერების მხარდაჭერა კორუფციის დამარცხების გამო, რაც თავისთავად სა-ომარი სიტუაციის ინტერესებშიც იყო, მომდევნო აკრძალვებმა გა-მოიწვია ბიზნესმენების უკმაყოფილება. საბოლოოდ, საზოგადოებ-რივი აზრის მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეთანხმებოდა ამ პერიოდის ზედმეტ იდეოლოგიურ ექსკურსიებს: მაგალითად, დექრისტიანიზ-აციის სისტემატიურ კამპანიებს და რობერსპიერის ახალ სამოქალა-ქო რელიგიას უზენაესი არსების შესახებ, რომელსაც თავის ცერემო-

ნიებიც ახლდა თან, ეს იყო მცდელობა რომ თამაშგარეში დარჩენილიყვნენ ათეისტები და აღსრულებულიყო ''წმინდა ჟან-ჟაკ რუსოს ცნებები''. გილიოტინის სისტემური სისინი კი იყო შეხსენება პოლიტიკოსებისთვის, რომ დაცული არავინ არ არის.

1794 წლის აპრილისთვის, მემარცხენეებიც და მემარჯვენეებიც აღმოჩდნენ გილიოტინაზე, ხოლო რობერსპიერი თავის მხარდამჭერებთან ერთად პოლიტიკურ იზოლაციაში, ერთადერთი მიზეზი, რაც მათ ძალაუფლებაში დარჩენას განაპირობებდა, ქვეყანაში არსებული საომარი სიტუაცია იყო. როდესაც 1794 წლის ივნისში, რესპუბლიკის ახალმა ჯარებმა აჩვენეს მათი სიძლიერე ავსტრიელების დამარცხებით და ბელგიის ოკუპაციით, ყველაფერი დასასრულს მიუახლოვდა. რევოლუციური კალენდარის მეცხრე თერმიდორში (1794 წლის 27 ივლისი) კონვენტმა რობერსპიერი ძალაუფლებას ჩამოაშორა. მეორე დღესვე სეინტ-იუსტი და კუსონი სიკვდილით დასაჯეს და რამდენიმე დღის შემდეგ ანალოგიური ბედი ხვდათ რევოლუციური პარიზის კომუნის ოთხმოცდაშვიდ წევრს.

თერმიდორი არის რევოლუციის დასამახსოვრებელი და გმირული ფაზის დასასრული: ძონძებში შემოსილი სანკულოტების და წითელ ნიშნიანი მოქალაქეების ფაზა, რომლებიც თავიანთ თავს ხედავდნენ როგორც ბრუტუსი და კატო, ვის წინადადებებსაც მომაკვდინებელი ძალაც კი ჰქონდათ „ათი ათას ჯარისკაცს არ აქვს ფეხსაცმელი, თქვენ ჩამოართმევთ ფეხსაცმელებს ყველა არისტოკრატს სტრასბურგში და მოიტანთ მათ რომ გავუგზავნოთ ჯარისკაცებს ბაზიდან დილის რვა საათზე''. ეს არ იყო კომფორტული შინაარსის ფაზა, თუმცა ბევრი შეშინებული და მშიერი ადამიანისთვის, ეს იყო ისეთივე საშიში და შეუჩერებელი ფენომენი, როგორც პირველი ატომური აფეთქება, რომელმაც პერმანენტულად შეცვალა ისტორია. ენერგია, რომელიც საფრანგეთის რევოლუციამ წარმოქმნა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ წალეკილიყო ევროპის ძველი რეჟიმების არმიები მარწყვებივით და ეს ასეც მოხდა.

პრობლემა, რაც საფრანგეთის საშუალო კლასს უნდა გადაეწყვიტა რევოლუციის მეორე ეტაპზე (1794-1799 წლები) იყო ის, თუ როგორ უნდა მიეღწიათ პოლიტიკური სტაბილურობისათვის და ეკონომიკური წარმატებისათვის 1789-1791 წლების პროგრამაზე დაყრდნობით. ამ პროგრამას დღემდე არ გადაუწყვეტია ეს ამოცანა. 1870 წლიდან საპარლამენტო რესპუბლიკის პერიოდში ზუსტად ამ ფორმულის ძიებას ეთმობოდა დიდი დრო, თუმცა უშედეგოდ. რეჟიმის სწრაფი რყევის გამო (დირექტორატი 1795-1799), კონსულატი (1799-1804), იმპერია (1804-1814) საბოლოოდ ბურბონთა მონარქიის რესტავრაციით დაგვირგვინდა 1815-1830 წლებში, ამას მოჰყვა კონსტიტუციური მონარქია 1830-1848 წლებში, რესპუბლიკა 1848-1851 წლებში და იმპერია 1852-1870 წლებში. ყველა ეს ეპიზოდი იყო ბურჟუაზიული საზოგადოების შენარჩუნების მცდელობა და იაკობინური დემოკრატიული რესპუბლიკის ან ძველი რეჟიმის აღდგენის ორმაგი საფრთხის თავიდან არიდებისკენ გადადგმული ნაბიჯი. თერმიდორელების უდიდესი სისუსტე მდგომარეობდა იმაში, რომ მათ პოლიტიკური მხარდაჭერა არ გააჩნდათ და მოქცეული იყვნენ მკვდრეთით აღმდგარ არისტოკრატიულ რეაქციას და იაკობინურ-სანკულოტურ პარიზის ღატაკ მოსახლეობას შორის, რომლებიც თავის მხრივ უკვე ნანობდნენ რობერსპიერის მიტოვებას.

1795 წელს შეიმუშავეს დაზღვევითი ხასიათის კონსტიტუცია, რომელიც დაიცავდა თერმიდორელებს მარცხნივ ან მარჯვნივ სწრაფი რყევებისგან და შეუნარჩუნებდა მათ ბალანსს; თუმცა მეორეს მხრივ, ისინი უფრო და უფრო ხდებოდნენ დამოკიდებულები არმიაზე, რაც თავის მხრივ ცენტრალური იყო ოპოზიციასთან გამკლავების პროცესში. ეს სიტუაცია ძალიან ჰგავს საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკაში მომხდარ ამბებს, პირველ რიგში კულმინაციით, რაც გენერლის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზებაში გამოიხატა. დირექტორატი არმიაზე უფრო მეტად იყო დამოკიდებული, ვიდრე მხოლოდ პუტჩების შეკავება იყო (1795 წელი ბაბეფის შეთქმულება,

ფრუქტიდორი 1797 წელს, ფლორეალი 1798 წელს, პრაირიალი 1799 წელს).

პასიურობა იყო უსაფრთხოების ერთადერთი გარანტია სუსტი და არაპოპულარული რეჟიმისათვის, თუმცა საშუალო კლასს ძალიან სჭირდებოდა ინიციატივა და ექსპანსია. არმიამ შეძლო ამ ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემის მოგვარება. მან დაიპყრო, ის უხდიდა თავის თავს და მეტიც, მაროდიორობდა და დაპყრობითი ომებით არმია ხელისუფლებასაც უხდიდა. რა გასაკვირი იყო რომ საბოლოოდ არმიის ყველაზე ჭკვიანი და ნიჭიერი ლიდერი, ნაპოლეონ ბონაპარტი მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაეშალა ეს სუსტი სამოქალაქო რეჟიმი? იაკობინური რესპუბლიკის ყველაზე თვალსაჩინო შვილი ხომ რევოლუციური არმია იყო?

რევოლუციონერი მოქალაქეები „მოხალისე მასებიდან“ პროფესიონალი მებრძოლებისგან შეკრულ ძალად იქცნენ, ამიტომაც ჯარში გაწვევები შეჩერებული იყო 1793-1798 წლებში, და ვისაც არ ჰქონდა ჯარისკაცობის ნიჭი და შნო, ჯგუფებად ტოვებდა არმიას. შესაბამისად, ჯარი ინარჩუნებდა რევოლუციურ ხასიათს და ასევე ითვისებდა ვიწრო ინტერესს, რაც ტიპიური ბონაპარტისტული ნარევია. რევოლუციამ საფრანგეთის არმიას მისცა უპრეცედენტო სამხედრო სიძლიერე, რაც ნაპოლეონის ბრწყინვალე გენერალიტეტმა ასევე ბრწყინვალედ გამოიყენა.

ჯარი კვლავ რჩებოდა გაწვეულების იმპროვიზებულ ჯგუფად, სადაც გაუწვრთნელმა ადამიანებმა მომზადების და მორალის მაღალი სტანდარტები გამოიმუშავეს. ფორმალური ბარაკული დისციპლინა უმნიშვნელო იყო, ჯარისკაცებს ექცეოდნენ როგორც სრულუფლებიან ადამიანებს და მოქმედებდა დამსახურების მიხედვით დაწინაურების პრინციპი (რომელიც გულისხმობდა ბრძოლაში თავის გამოჩენას) ამან სიმამაცის მიხედვით იერარქიზებული სტრუქტურა შექმნა. ამან რევოლუციური მისიის აღქმასთან ერთად საფრანგეთის არმიას მისცა იმ რესურსებისგან დამოუკიდებლობა, რა-

ზეც დიდწილად დამოკიდებულები იყვნენ ტრადიციული მოწყობის არმიები. საფრანგეთის არმიას არ შეუქმნია ეფექტური მიწოდება-მოთხოვნის სისტემა პირველ რიგში იმიტომ, რომ მას ძირითადად ქვეყნის საზღვრის გარეთ უწევდა ომის წარმოება. ფრანგული ჯარი არასდროს იყო მხარდაჭერილი სამხედრო ინდუსტრიის მიერ მიწოდებული იარაღით, რომელსაც სულ მინიმალურად მაინც შეეძლო მათი საჭიროებების შევსება, თუმცა მან ისე სწრაფად შეძლო ბრძოლებში გამარჯვება, რომ მათ ბევრი იარაღი არც დაჭირვებიათ: 1806 წელს პრუსიული არმიის დიდი მანქანა დაიმსხვრა იმ ჯართან, საიდანაც მათი მისამართით სულ 1400 თოფი გაისროლეს.

გენერლები ეყრდნობოდნენ ულიმიტო შეტევით სიმამაცეს და საკმარისი რაოდენობის ინიციატივას ქვემოდან. აღსანიშნავია, რომ ამას თავის უარყოფითი მხარეც გააჩნდა: ნაპოლეონის და მისი გარემოცვის სხვა რამდენიმე ადამიანის გარდა, გენერლები სუსტები იყვნენ. რევოლუციონერი გენერლები ან ნაპოლეონის მარშლები დიდწილად იყვნენ სიმამაცისთვის და ლიდერობის უნარისთვის დაწინაურებული სერჟანტ-მაიორები ან კომპანიის მმართველები, ვინც წარმატებას მიაღწიეს უფრო სიმამაცისთვის, ვიდრე გონიერებისთვის, ამ მარშლებში გამოსარჩევი იყო გმირული ხასიათის, მაგრამ ძალიან სულელი მარშალი ნეი.

ბრძოლებს ნაპოლეონი იგებდა, მის გარეშე მარშლები მარცხდებოდნენ. მათი მომარაგების სისტემა ეყრდნობოდა მდიდარი ქვეყნებიდან გამოზიდულ ქონებას, როგორიცაა ბელგია, ჩრდილოეთ იტალია, გერმანია. ისეთ დიდ მიწებზე როგორებიცაა პოლონეთი და რუსეთი, ჩვენ ვნახეთ რომ ნაპოლოენის ჯარი დამარცხდა. სანიტარული სერვისების უქონლობამ ნაპოლეონის ჯარი მნიშვნელოვნად დააზარალა, 1800 დან 1815 წლამდე ნაპოლეონმა დაკარგა თავის ჯარების 40 პროცენტი (ამ პროცენტის მესამედი დეზერტირი იყო); დანარჩენთა 90-98 პროცენტი კი იყო ის ხალხი, ვინც გარდაიცვალა არა ომში, არამედ ჭრილობებით, დაავადებით, დაღლილობით

ან სიცივით. მოკლედ, ეს იყო არმია, რომელმაც დაიპყრო მთელი ევროპა მცირე აფეთქებებით არა მხოლოდ იმიტომ რომ მათ ეს შეეძლოთ, არამედ იმიტომ, რომ მათ ეს უნდა გაეკეთებინათ.

მეორეს მხრივ, არმია იყო კარიერა ბევრი სხვა პროფესიის მსგავსად, რისკენაც ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ნიჭიერ ადამიანებს გზა მისცა; და მათ, ვინც წარმატებას მიაღწიეს, გაუჩნდათ ინტერესი რომ შენარჩუნებულიყო სიმშვიდე სახელმწიფოში, ზუსტად ისევე როგორც ეს ინტერესი ჰქონდათ ბურჟუაზიის სხვა წევრებს. შინაგანი იაკობინელობის მიუხედავად, პოსტ-თერმიდორული ხელისუფლების და მისი ლიდერის, ნაპოლეონის მთავარი ფუნქცია იყო ბურჟუაზიული რევოლუციის დასკვნითი ეტაპის ბოლომდე მიყვანა და ბურჟუაზიული რეჟიმის დაწყება. თავად ნაპოლეონ ბონაპარტეც, მიუხედავად მისი თანდაყოლილი თავაზიანობისა (მითუმეტეს მისი მშობლიური კუნძულის, კორსიკის სტანდარტებით) ზუსტად ამ ტიპის კარიერისტი იყო. 1769 წელს დაბადებულმა ნაპოლეონმა თავის კარიერული გზა ნელნელა არტილერიით გაიკვალა, ეს იყო ერთერთი უიშვიათესი ნაწილი სამეფო არმიისა, სადაც ტექნიკური კომპეტენცია ძალიან საჭირო, ამბიციური და რევოლუციური იყო.

რევოლუციის, და განსაკუთრებით იაკობინური დიქტატურის პირობებში, რომელსაც ნაპოლეონი აქტიურად უჭერდა მხარს, ის აღმოაჩინა ერთმა ადგილობრივმა კომისარმა ფრონტის წინა ხაზებზე, როგორც რიგითი კორსიკელი, რომელშიც ის კონკურენტს ვერ ხედავდა, თუმცა ხედავდა ნიჭიერ და დიდი პოტენციალის მქონე ჯარისკაცს.

რევოლუციის მეორე წელმა ნაპოლეონი გენერლად აქცია, ის გადაურჩა რობერსპიერის დაცემას და მისმა უნარმა, რომ შეენარჩუნებინა და გაეზარდა საჭირო კავშირები პარიზთან, დაეხმარა წინ წასულიყო ამ რთული მომენტის შემდეგ. მან გამოიყენა თავის შანსები 1796 წელს, იტალიის კამპანიის დროს, რამაც ის აქცია რესპუბ-

ლიკის ნომერ პირველ ჯარისკაცად, რომელიც პრაქტიკულად არ ექ-ვემდებარებოდა სამოქალაქო ხელისუფლებას. ძალაუფლებაში მყო-ფები მას ნაწილობრივ ენდობოდნენ, ეს განსაკუთრებით თვალსაჩი-ნოდ გამოჩნდა მაშინ როდესაც 1799 წელს უცხო ქვეყნების შემოჭ-რის დროს დირექტორატის სისუსტე ნაპოლეონის პირადმა ნიჭმა და მონდომებამ დაჩრდილა. ის გახდა პირველი კონსული, შემდეგ სამუდამო კონსული და ბოლოს იმპერატორი. მაშასადამე, მისი გა-მოჩენით, დირექტორატის გარშემო არსებული გადაუჭრელი პრობ-ლემები გადაჭრადად იქცა.

რამდენიმეწლიან პერიოდში, საფრანგეთს ჰქონდა სამოქალა-ქო კოდექსი, კონკორდატი ეკლესიასთან და მეტიც, ბურჟუაზიული სტაბილურობის ყველაზე ძლიერი სიმბოლო - ეროვნული ბანკი. სამყაროს კი უკვე გააჩნდა პირველი სეკულარული მითი. ძველ დროს, დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში არ არსებობდა საშუალო კლასის წარმომადგენელთა კაბინეტი, სადაც მისი ბიუსტი არ იდგა. პამფლეტების შემქმნელებს შეეძლოთ ეხუმრათ, რომ ნაპოლეონი იყო არა უბრალო ადამიანი, არამედ მზე-ღმერთი. ამ მითის არაორ-დინალური ძალა არც ნაპოლეონის გამარჯვებებით და არც ნაპოლე-ონის პროპაგანდით არ უნდა აიხსნას, არც ნაპოლეონის უეჭველი გენიალურობით. როგორც ადამიანი ის უეჭველად იყო ბრწყინვა-ლე, გაქნილი, გონიერი და წარმოსახვის უნარის მქონე, თუმცა ძა-ლაუფლებამ ის უფრო გააუხეშა. როგორც გენერალს მას არ ჰყავდა თანასწორი, როგორც მმართველი ის იყო შესანიშნავი დამგეგმავი, აღმასრულებელი და ხელმძღვანელი, რომელსაც შეეძლო კარგად გაეგო თუ რას აკეთებდნენ მისი დაქვემდებარებულები. როგორც ინდივიდს - მას ჰქონდა საკუთარი თავის დიდებულების შეგრძნე-ბა, თუმცა ვინც ამას აღნიშნავს - მაგალითად გოეთე, ნაპოლეონს მი-სი დიდების პიკზე შეხვდა.

ის ყოველგვარი შეკითხვის გარეშე იყო ძალიან დიდი ადამია-ნი, და ალბათ დღეისთვისაც, თუ არ ჩავთვლით ლენინს, მისი სუ-

რათი არის ერთადერთი რომელსაც ყველა ნაკითხი ადამიანი ამოიცნობს ისტორიის სახელმძღვანელოს ფურცლებზე. ნაპოლეონის მითი ნაკლებად ეყრდნობა ნაპოლეონის პირად წვლილს ამ მითის შექმნაში, არამედ უფრო მეტად ფაქტებს, რომელმაც უნიკალურად აქცია მისი კარიერა. წარსულში მოღვაწე დიდმა ადამიანებმა, ვინც მსოფლიო შეაზანზარეს, მაგალითად ალექსანდრე მაკედონელმა ან იულიუს კეისარმა დაიწყეს როგორც მეფეებმა, თუმცა ნაპოლეონი იყო „პატარა რიგითი“ ვინც აღზევდა კონტინენტის მმართველად მისი ულევი პირადი ნიჭიდან გამომდინარე (ცხადია, ნაპოლეონის ნიჭს გზა რიგმა გარე ფაქტორებმაც გაუხსნეს, თუმცა მისი აღზევება საკმარისად მეტეორული იყო, რომ მაკედონელთან და იულიუს კეისართან შედარება გავამართლოთ).

იმ პერიოდის ყველა ახალგაზრდა ინტელექტუალი „შთანთქავდა'' წიგნებს (ნაპოლეონის მიბაძვით), ასევე წერდა ცუდ ლექსებს და ნოველებს, აღმერთებდა რუსოს და მათთვის ცხოვრებასა და მიზნებში ლიმიტი არ არსებობდა. ყველა ბიზნესმენს ჰქონდა სახელი ამბიციისათვის: მაგალითად „ფინანსების ნაპოლეონი“ ან „წარმოების ნაპოლეონი''. ყველა უბრალო ადამიანმა კარგად იცოდა იმ უბრალო ადამიანის შესახებ, რომელმაც იმაზე უფრო დიდ მწვერვალს მიაღწია, ვიდრე დაბადებიდან გვირგვინის მატარებლები აღწევდნენ. ნაპოლეონმა ამბიციას პირადი სახელი მისცა მაშინ, როდესაც ორმაგი (ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში და ბურჟუაზიული რევოლუცია საფრანგეთში) რევოლუცია სამყაროს გასაღებს აძლევდა ახალგაზრდა, ამბიციურ ადამიანებს. ნაპოლეონი ამბიციურ ახალგაზრდაზე მეტიც იყო, ის იყო მეთვრამეტე საუკუნის ცივილიზებული ადამიანი - გონიერი, დაკვირვებული და განათლებული. ასევე, რუსოს მიმდევრობა მას მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსის თვისებებსაც აძლევდა. ის რევოლუციის კაციც იყო და სტაბილური გარემოს შექმნელიც ქაოსის ეპოქაში.

ერთი სიტყვით, ყველა ადამიანი ვინც ჩამოშორდა ტრადიციებს და დაიწყო სვლა საკუთარი ოცნებებისკენ, საკუთარ თავს ნაპოლეონთან აიგივებდა. ფრანგებისთვის ის კიდევ უფრო უბრალო რამ იყო: ყველაზე წარმატებული მმართველი საფრანგეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. მან მიაღწია დიდებას და ტრიუმფს საზღვარგარეთ: თუმცა შინ მან შექმნა საფრანგეთის ინსტიტუციური აპარატი, რომელიც დღემდე მოქმედებს. რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, მისი თითქმის ყველა იდეა წინ იყო წამოწეული რევოლუციის და დირექტორატის მიერ, მისი პირადი კონტრიბუცია კი ამ იდეებში კონსერვატიული, იერარქიული და ავტორიტარული ფერების შეტანა იყო. მისმა წინამორბედებმა იდეები წინ წამოწიეს, მან კი განახორციელა. მის დიდებულ მონუმენტებს შორის არის საფრანგეთის კონსტიტუცია, კანონები, რომლებმაც უდიდესი გავლენა იქონია მთელ არა ანგლო-საქსურ ბურჟუაზიულ სამყაროზე, ეს ნაპოლეონის კანონები იყო.

თანამდებობათა იერარქია, დაწყებული პრეფექტებიდან გაგრძელებული უფრო ქვედა რგოლებით, ასევე სასამართლოების, უნივერსიტეტების და სკოლების იერარქიული სისტემები მიერ მიერ შეიქმნა. საფრანგეთის საჯარო ცხოვრების დიდებული „კარიერები“ არმიაში, საჯარო სერვისში, განათლებაში და სამართალწარმოებაში კვლავ ნაპოლეონურ ფორმებს ინარჩუნებენ. მან სტაბილურობა და კეთილდღეობა მოუტანა ყველას, იმ მეოთხედი მილიონი ფრანგის გარდა, ვინც ომებიდან ვერ დაბრუნდა, თუმცა სამუდამო დიდება მიანიჭა ოჯახებს. ეჭვგარეშეა, ბრიტანელები თავიანთ თავს აღიქვამდნენ როგორც თავისუფლების მებრძოლებს ტირანიის წინააღმდეგ, თუმცა 1815 წელს ინგლისელების უდიდესი ნაწილი უფრო ღარიბი იყო ვიდრე რიგითი ფრანგი.

უცნაურია, რომ ბონაპარტიზმი პოლიტიკურად არაანგაჟირებულ ფრანგებშიც არსებობდა, განსაკუთრებით კი მდიდარ გლეხობაში, ვინც გამორჩეულად დაზიანდა მეორე ნაპოლეონის მმართვე-

ლობის პერიოდში (1851-1870 წლები). ნაპოლეონ ბონაპარტემ მხოლოდ ერთი რამ გაანადგურა: იაკობინური რევოლუცია, თანასწორობის, თავისუფლების და ძმობის ოცნება, რომელიც ხალხთა დიდებულმა აჯანყებამ წამოაყენა მჩაგვრელთა გადასაგდებად. იაკობინური რევოლუცია ბევრად უფრო ძლიერი მითი იყო ვიდრე ნაპოლეონის მითი, რადგანაც ნაპოლეონის დაცემის შემდეგ რევოლუციის მითი გადარჩა, მისი კი არა. იაკობინურმა გამოცდილებამ შთააგონა მეცხრამეტე საუკუნის რევოლუციები, მათ შორის ნაპოლეონის მშობლიურ საფრანგეთშიც.